სს „ჯგუფი სადაზღვევო კომპანია ალდაგი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

EY Georgia LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი საქართველო
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების შესახებ

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს *„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“* (*IESBA კოდექსი*) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

Building a better working world

ანგარიში დამატებითი ფინანსური ინფორმაციის შესახებ

აუდიტი ჩავატარეთ ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ერთეულის, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის მიზნით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული კონსოლიდირებული ცხრილები, რომლებიც დამატებითი ფინანსური ინფორმაციის სახით არის გაცხადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართში, წარმოდგენილია დამატებითი ანალიზის მიზნით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის თანახმად და არ ექცევა ფასს-ის მოქმედების არეალში. აღნიშნული დამატებითი ფინანსური ინფორმაცია დაექვემდებარა ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩატარებული აუდიტის განმავლობაში გამოყენებულ აუდიტორულ პროცედურებს და, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჯეროვნად არის მომზადებული ჯგუფის მთლიან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 9 მარტი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 4
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 7
2. მომზადების საფუძველი 8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 26
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 28
6. საბანკო ანაბრები 28
7. გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები 29
8. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 29
9. გადასახადები 30
10. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები 32
11. საინვესტიციო ქონება 32
12. ძირითადი საშუალებები 33
13. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები 34
14. საპენსიო ფონდის აქტივები და ვალდებულებები 35
15. გაუფასურების რეზერვი და ანარიცხები 36
16. სხვა აქტივები 36
17. კაპიტალი 36
18. მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი 37
19. წარმოებული ფინანსური ვალდებულებები 43
20. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 43
21. სხვა ვალდებულებები 43
22. პირობითი ვალდებულებები 43
23. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი 44
24. წმინდა სადაზღვევო ზარალი 45
25. პრემიების მოზიდვის ხარჯი, გადაზღვევის გამოკლებით 45
26. საინვესტიციო მოგება 45
27. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 46
28. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 46
29. წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი 46
30. რისკის მართვა 47
31. სამართლიანი ღირებულების შეფასება 60
32. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 62

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 წ. (გადაანგარიშებული)	2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	4,186	4,349	2,735
საბანკო ანაბრები	6	25,968	24,928	17,983
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	7	4,180	3,389	2,583
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	8	28,426	23,008	17,878
გაცემული სესხები		100	–	5,235
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	18	20,671	13,161	13,826
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები		–	273	299
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	9	878	1,080	1,508
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	10	2,916	2,673	1,915
საინვესტიციო ქონება	11	845	845	–
ძირითადი საშუალებები	12	10,627	8,718	8,127
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	13	14,335	14,472	14,248
საპენსიო ფონდის აქტივები	14	18,536	16,441	13,706
სხვა აქტივები	16	3,173	2,767	2,963
სულ აქტივები		**134,841**	**116,104**	**103,006**
კაპიტალი	17			
საწესდებო კაპიტალი		1,889	1,889	1,889
დამატებით შეტანილი კაპიტალი		6,987	6,987	6,987
გაუნაწილებელი მოგება		39,750	30,450	23,808
სულ კაპიტალი		**48,626**	**39,326**	**32,684**
ვალდებულებები				
მთლიანი ტექნიკური რეზერვები	18	50,272	41,542	37,964
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	19	130	1,144	–
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	20	12,095	9,597	9,477
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		30	1,363	663
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	14	18,536	16,441	13,706
სხვა ვალდებულებები	21	5,152	6,691	8,512
სულ ვალდებულებები		**86,215**	**76,778**	**70,322**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**134,841**	**116,104**	**103,006**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

გიორგი ბარათაშვილი — გენერალური დირექტორი

ლაშა ხახუტაიშვილი — ფინანსური დირექტორი

9 მარტი, 2018 წ.

თანდართული შენიშვნები 7-64 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2017*	*2016 წ. (რეკლასიფიცირებული)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია		85,922	71,031
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებულ სადაზღვევო პრემიაში		(23,152)	(20,640)
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	23	**62,770**	**50,391**
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯი		(41,540)	(26,602)
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებში		15,554	7,380
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(1,332)	(780)
შემოსავალი რეგრესიდან და ნარჩენი ღირებულებიდან		2,220	1,899
წმინდა სადაზღვევო ზარალი და მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები	24	**(25,098)**	**(18,103)**
პრემიების მოზიდვის ხარჯი, გადაზღვევის გამოკლებით	25	(9,100)	(6,293)
წმინდა მოგება ანდერაიტინგიდან		**28,572**	**25,995**
საინვესტიციო მოგება	26	2,965	3,146
საპენსიო ფონდის აქტივების მართვის გასამრჯელო		525	483
საინვესტიციო მოგება		**3,490**	**3,629**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	27	(8,701)	(8,427)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	28	(3,360)	(3,123)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	12, 13	(855)	(774)
გაუფასურების ხარჯი	15	(718)	(888)
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი	29	639	963
სხვა ხარჯები		**(12,995)**	**(12,249)**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**19,067**	**17,375**
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)		208	(295)
დასაბეგრი მოგება		**19,275**	**17,080**
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(2,975)	(3,318)
წმინდა მოგება		**16,300**	**13,762**
სხვა სრული შემოსავალი		–	–
მთლიანი სრული შემოსავალი		**16,300**	**13,762**

თანდართული შენიშვნები 7-64 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	საქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწი-ლებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2016 წ.		**1,889**	**6,987**	**358**	**23,808**	**33,042**
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (მე-3 შენიშვნა)		–	–	(358)	–	**(358)**
1 იანვარი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)		**1,889**	**6,987**	**–**	**23,808**	**32,684**
სულ მოგება და სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული) (მე-3 შენიშვნა)		–	–	–	13,762	**13,762**
აქციონერისთვის გადასახდელი დივიდენდები		–	–	–	(7,120)	**(7,120)**
31 დეკემბერი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)		**1,889**	**6,987**	**–**	**30,450**	**39,326**
სულ მოგება და სრული შემოსავალი		–	–	–	16,300	**16,300**
აქციონერისთვის გადასახდელი დივიდენდები	17	–	–	–	(7,000)	**(7,000)**
31 დეკემბერი, 2017 წ.		**1,889**	**6,987**	**–**	**39,750**	**48,626**

თანდართული შენიშვნები 7-64 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2017*	*2016*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული სადაზღვევო პრემია		77,287	65,731
გადახდილი გადაზღვევის პრემია		(15,796)	(14,346)
გადახდილი სადაზღვევო ზარალები		(33,059)	(25,810)
მიღებული გადაზღვევის მოთხოვნები		8,233	5,999
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები		(9,205)	(5,832)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(8,934)	(9,184)
მიღებული პროცენტი		2,115	1,306
გადახდილი საოპერაციო გადასახადი		(149)	(267)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,037	1,261
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(4,708)	(2,850)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**16,821**	**16,008**
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,884)	(2,129)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**12,937**	**13,879**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,458)	(1,040)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		37	–
არამატერიალური აქტივების შეძენა		(676)	(455)
გაცემული სესხები		(100)	(7,000)
გაცემული სესხის დაფარვებიდან მიღებული შემოსავალი		–	1,901
ფორვარდული ხელშეკრულებების ფარგლებში ანგარიშსწორება		(1,535)	–
საბანკო ანაბრების განთავსება, წმინდა		(211)	(5,161)
გასაყიდად გამიზნული აქტივების შესყიდვა		(3,494)	(531)
გასაყიდად გამიზნული აქტივებიდან მიღებული შემოსავალი		2,586	
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**(5,851)**	**(12,286)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
გადახდილი დივიდენდი	17	(7,000)	–
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(7,000)**	**–**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(249)	21
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		**(163)**	**1,614**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	5	4,349	2,735
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი	5	**4,186**	**4,349**

თანდართული შენიშვნები 7-64 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ დაარსდა 1998 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2014 წლის 1 აგვისტომდე იგი, თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად, მომხმარებლებს სთავაზობდა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებას, ქონების, არასიცოცხლისა და სიცოცხლის რისკების დაზღვევის პროდუქტებს, ასევე ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით თავისი საავადმყოფოებისა და კლინიკების ქსელის მეშვეობით. 2014 წელს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“ (გაყოფამდე „ალდაგი“) და მისმა შვილობილმა კომპანიებმა (გაყოფამდე „ალდაგი ჯგუფი“) განახორციელეს რეორგანიზაცია ჯანმრთელობის დაცვისა და დაზღვევის, და ქონების, არასიცოცხლისა და სიცოცხლის რისკების დაზღვევის მიმართულების ერთმანეთისგან გამიჯვნის მიზნით.

რეორგანიზაციის შედეგად, 2014 წლის 1 აგვისტოს, გაყოფამდელი ალდაგის ქონების, არასიცოცხლისა და სიცოცხლის რისკების დაზღვევის მიმართულება გამოეყო ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესს და გადაეცა ახლად შექმნილ იურიდიულ პირს, რომელიც ატარებს იმავე სახელწოდებას - სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“.

კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი ტიპის სადაზღვევო ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის, და ასევე ლიცენზიას, რომ იმოქმედოს, როგორც საპენსიო ფონდმა. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურებას; ქონების, პასუხისმგებლობის და სხვა ტიპის დაზღვევას. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიას ასევე აქვს შვიდი სერვისცენტრი თბილისში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავსა და გორში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, 0105 თბილისი, პუშკინის ქ. 3.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი საწარმოების მშობელ კომპანიას (რომლებიც ერთობლივად იწოდებიან, როგორც „ალდაგი ჯგუფი“ ან „ჯგუფი“).

	წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება				
შვილობილი კომპანია	*31 დეკემბერი, 2017 წ.*	*31 დეკემბერი, 2016 წ.*	*დაფუძნების თარიღი*	*სფერო*	*შეძენის თარიღი*
შპს „ალიანსი“	100%	100%	1 მარტი, 2000 წ.	სხვა	30 აპრილი, 2012 წ.
შპს „გრინ ვეი“	100%	100%	27 დეკემბერი, 2010 წ.	მომსახურება	30 აპრილი, 2012 წ.
შპს „პრემიუმ რეზიდენსი“	100%	100%	9 ივლისი, 2010 წ.	ტურიზმი და სასტუმროს ბიზნესი	30 აპრილი, 2012 წ.
სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“	100%	100%	22 აგვისტო, 2007 წ.	დაზღვევა	1 მაისი, 2015 წ.
სს „AMF Georgia“	100%	არა	17 ნოემბერი, 2017 წ.	იპოთეკური ფონდი	არა

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელი იყო სს „ბიჯეო ინვესთმენთს“ (2016 წ.: ერთპიროვნული მფლობელი იყო სს „ბიჯი ფაინანშიალი“). 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“. შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“ დაფუძნებულია გაერთიანებულ სამეფოში და მისი აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მუხლების თანმიმდევრულობა მოცემულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილება სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენაში

2017 წელს ჯგუფმა გადაწყვიტა, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებების ცალ-ცალკე წარმოდგენის ნაცვლად მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ერთიანი ანგარიშგება წარედგინა, სადაც მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი ასახული იქნებოდა მის ორ სხვადასხვა თავში.

ჯგუფმა შეცვალა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენის ფორმატი. მოხდა გარკვეული მუხლების გადასინჯვა, რომ უფრო ჯეროვნად წარმოდგენილიყო ჯგუფის ანდერაიტინგული, საინვესტიციო და საოპერაციო ფუნქციები, რაც უფრო შეესაბამება სადაზღვევო სექტორის საუკეთესო პრაქტიკას.

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენაში შესული ცვლილების გამო, 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გარკვეული რეკლასიფიკაციები მოხდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო 2017 წლის 31 დეკემბრის წარდგენასთან:

	რეკლასიფი-კაციამდე	*რეკლასი-ფიკაცია*	*რეკლასიფიკაციის შემდეგ*
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება			
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	(27,383)	27,383	–
გადამზღვევლების წილი გადახდილ სადაზღვევო ზარალებში	7,912	(7,912)	–
მთლიანი ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში	781	(781)	–
გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიან ცვლილებაში	(532)	532	–
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯი	–	(26,602)	(26,602)
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებში	–	7,380	7,380
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,751	(1,751)	–
სხვა საოპერაციო ხარჯები	(141)	141	–
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი	–	963	963
პრემიების მოზიდვის ხარჯი, გადაზღვევის გამოკლებით	(6,457)	164	(6,293)
საპენსიო ფონდის აქტივების მართვის გასამრჯელო	–	483	483

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გაცხადების წესში შესული ცვლილებები

ბასს (IAS) 16 „ძირითადი საშუალებები“

წლის განმავლობაში ჯგუფმა შეცვალა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა საოფისე შენობებთან მიმართებით. ჯგუფი ამჟამად იყენებს თვითღირებულების მოდელს, რომლითაც აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. პოლიტიკაში ამ ცვლილების შესვლამდე, ჯგუფი იყენებდა გადაფასების მოდელს, რომლის მიხედვითაც საოფისე შენობები აღირიცხებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ჯგუფის აზრით, თვითღირებულების მოდელი ინფორმაციას უფრო საიმედოდ და ამომწურავად აწვდის ინვესტორებს, რადგან (1) ის ზრდის შედარებადობას ინვესტორებისთვის, ვინაიდან თვითღირებულების მოდელის გამოყენება სადაზღვევო სექტორში გავრცელებული პრაქტიკაა, (2) ამ მოდელით აღრიცხვა უფრო შესაბამისობაშია ბიზნეს მოდელს, განსაკუთრებით ძირითადი საშუალებების ამ კატეგორიისთვის. სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა რეტროსპექტულად არის ასახული. სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების გავლენა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ასეთია:

	31 დეკემბერი, 2016 წ.	*1 იანვარი, 2016 წ.*
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	(421)	(421)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	–	63
სულ აქტივები	**(421)**	**(358)**
კაპიტალი		
სხვა რეზერვები	(421)	(358)
სულ კაპიტალი	**(421)**	**(358)**

გავლენა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

სხვა სრული შემოსავალი	*31 დეკემბერი, 2016 წ.*
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება	
- ძირითადი საშუალებების გადაფასება	–
- მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	(63)
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:	**(63)**
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა	**(63)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა	**(63)**

სააღრიცხვო პოლიტიკაში შესულ ცვლილებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებაზე ან ზარალზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გაცხადების წესში შესული ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 15 *„შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“*, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და ვრცელდება კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანმდევი საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი კვლავაც სცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და რეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. სტანდარტი ასევე აზუსტებს სავალდებულო განმარტებითი შენიშვნების სრულ პაკეტს შემოსავლის ხასიათის, ოდენობისა და ვადების, ასევე მისი განუსაზღვრელობისა და კლიენტებთან შესაბამისი ფულადი ნაკადების შესახებ. ფასს 15-ის გამოყენება შეიძლება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით.

ჯგუფმა ვადაზე ადრე გამოიყენა შემოსავლის აღიარების ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომლებიც ჯგუფის შემოსავლის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს, ფასს 15-ის მოქმედების არეალში არ ექცევა, ცვლილებას არსებითი გავლენა ჯგუფზე არ მოუხდენია.

ჯგუფმა მიიღო ფასს-ის რამდენიმე შესწორება, რომლებიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (მათ შორისაა ბასს 7-ის და ბასს 12-ის შესწორებები, და ფასს 12-ის შესწორებები, რომლებიც წლიური გაუმჯობესებების 2014-2016 წლების ციკლის ფარგლებში გამოიცა). აქედან ჯგუფზე არცერთ მათგანს არ მოუხდენია გავლენა.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევენ, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღება ან მიღების უფლება; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

საწარმოთა გაერთიანება, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანებების ჩათვლით, აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის უმცირესობის წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი შეძენილი კომპანიის არასაკონტროლო პაკეტს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ან ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად, ხოლო არასაკონტროლო პაკეტის სხვა კომპონენტებს - მათი შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში. როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული საკონტრაქტო ვალდებულებების, ეკონომიკური პირობებისა და მშობელი კომპანიის პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული კომპანიის მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

გუდვილი

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, და ტოლია წმინდა ამოცნობადი შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების ღირებულების ზემოთ გადახდილი ნამეტი ღირებულებისა (სხვაობა უმცირესობის და მფლობელობაში ადრე არსებულ ნებისმიერ წილში გადახდილ და ნაკისრი ანაზღაურების ჯამს და წმინდა შეძენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის). თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ საზღაურზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ ღირებულებას, მაშინ ხდება შემოსულობის აღიარება მოგებაში ან ზარალში (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანებების შემთხვევაში, შემოსულობის აღიარება ხდება კაპიტალში შენატანებად).

პირველადი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თავდაპირველი ღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების დადგენის მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულებზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს შეძენილი კომპანიის სხვა აქტივები მიეკუთვნება, თუ ვალდებულებები.

როდესაც გუდვილი მიეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში იმისთვის, რომ მოხდეს გასხვისებით მიღებული შემოსულობის ან ზარალის მართებული განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე მიკუთვნილი გუდვილის განსაზღვრა ხდება გასხვისებული ოპერაციის ღირებულებასა და ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულში შენარჩუნებული ხვედრითი წილის მიხედვით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებები ნიშნავს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის ატარებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ან ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის შეიცავს კომერციული შინაარსის ისეთ სცენარს, რომლის მიხედვითაც დაზღვევის რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი მოცულობისა იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვანი მოცულობა დამოკიდებულია როგორც დაზღვეული მოვლენის მოხდენის ალბათობაზე, ისე მისი შესაძლო ზემოქმედების მასშტაბზე.

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კატეგორიას, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება დარჩენილი ვადის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ამ ხნის მანძილზე სადაზღვევო რისკი საგრძნობლად შემცირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა უფლება-მოვალეობა შესრულდება ან მათი ვადა ამოიწურება.

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება წარმოებს სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და თვითღირებულებით. დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალნსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

მოთხოვნები გადაზღვევიდან ძირითადად გულისხმობს სადაზღვევო და საგადაზღვევო კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს, რომლებიც წარმოიშვა სადაზღვევო ვალდებულებების გადაცემის სანაცვლოდ. გადაზღვევის პრემიის შემოსავლად აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც მოხდებოდა, გადაზღვევა პირდაპირ გარიგებად რომ ითვლებოდეს, გადაზღვევის პროდუქტების კლასიფიკაციის შესაბამისად. გადამზღვევლებისთვის გადასახდელი თანხები გამოითვლება შესაბამისი გადამზღვევის პოლიტიკისა და გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით. გადაცემული პრემიები და გადახდილი მოთხოვნები წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) თანხებით.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილის გაუფასურების ტესტირება. საგადაზღვევო დებიტორული დავალიანება უფასურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მიიღოს ხელშეკრულების მიხედვით ყველა მისაღები თანხა და რომ ამის გაზომვა სათანადოდ შეიძლება.

მთლიანი ტექნიკური რეზერვები

მთლიანი ტექნიკური რეზერვები მოიცავს ასანაზღაურებელი ზარალის რეზერვს, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს და პრემიის დეფიციტის რეზერვს. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზოგად ვალდებულებებს შეადგენს ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ყველა მოთხოვნის ერთიანი ხარჯი იმისდა მიუხედავად, განცხადებულია, თუ არა, ასევე მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები და მოსალოდნელი ნარჩენი და სხვა სალიკვიდაციო ღირებულების შემცირება. ვალდებულების გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღით, ფაქტობრივი მოთხოვნების პროგნოზირების სტანდარტული მეთოდებისა და არსებული დაშვებების გამოყენებით ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. არ ხდება კატასტროფული შემთხვევების რეზერვის აღიარება. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება სადაზღვევო პერიოდსა და თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის საფუძველზე. ჯგუფი ამოუწურავ რისკს განიხილავს ცალკეული ბიზნეს მიმართულებების წარსული საქმიანობის საფუძველზე, რათა განსაზღვროს საერთო ცვლილება მოსალოდნელ მოთხოვნებში. სხვაობა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს, ზარალის რეზერვსა და მოსალოდნელ სადაზღვევო მოთხოვნებს შორის აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში პრემიის დეფიციტის რეზერვის შექმნის გზით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში ჯგუფი თავისი საქმიანობის ყველა მიმართულების სადაზღვევო რისკს გადასცემს. ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი წარმოადგენს გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს. გადამზღვევლებისგან ამოღებადი თანხები ფასდება ისევე, როგორც გადამზღვევლის პოლისებთან დაკავშირებული ასანაზღაურებელი ზარალის რეზერვი ან დარეგულირებული სადაზღვევო მოთხოვნები და შეესაბამება მათთან დაკავშირებულ გადაზღვევის კონტრაქტს.

გაუფასურების შემოწმება წარმოებს ანგარიშგების შედგენის ყოველ დღეს ან უფრო ხშირად, თუ ანგარიშგების პერიოდში გაუფასურების ნიშნები გამოიკვეთება. გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ ამოიღოს ხელშეკრულების თანახმად მისაღები თანხები და როდესაც ჯგუფის მიერ გადამზღვევლისგან მომავალში მისაღები თანხების შედეგის საიმედოდ შეფასება შეიძლება. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება. ყოველი ამოუწურავი რისკის რეზერვში გადამზღვევლის წილის აღიარება ანალოგიური წესით ხდება. ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილის აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ამოიწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ან როდესაც ხელშეკრულება სხვა მხარეს გადაეცემა.

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები კაპიტალიზდება და ამორტიზდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში. პრემიების მოზიდვის ყველა სხვა ხარჯის აღიარება ხდება ხარჯად მათი გაწევისთანავე. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები მოიცავს გაყიდვების აგენტებისა და საბროკერო კომპანიებისთვის პოლისების გაცემისთვის გადახდილ საკომისიოს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საბანკო ანაბრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. პირველადი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

რეგრესი და სხვა მისაღები ანგარიშები აღიარებულია მათი პირველადი, ფაქტურული ღირებულებით. თუ ფულის დროითი ღირებულება არსებითია, მისაღები ანგარიშების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე ზემოხსენებულ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების დრომდე, როდესაც კუმულაციური მოგება–ზარალი, რომელიც მანამდე სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყო ასახული, რეკლასიფიცირდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოანგარიშებული საპროცენტო შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ანუ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომლის გაანგარიშებაც მოხდა პირველადი აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები

დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

ჯგუფი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ნებისმიერი შემდგომი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას აღდგენის თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად, წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და გარკვეულ არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად, საოფისე შენობებს, საინვესტიციო ქონებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს. ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 31-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ისეთი ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონება, რომლის გარდაქმნაც ხდება საინვესტიციო ქონებად შემდგომი გამოყენებისთვის ან რომლის ბაზარიც ნაკლებად აქტიური გახდა, კვლავაც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეცვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და წარმოდგენილია საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლის ან ზარალის სახით.

შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ ჯგუფი მოელის მისგან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და თუ შესაძლებელია თვითღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები ტარდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მაშინ ხდება მისი რეკლასიფიცირება შენობებად და აღჭურვილობად და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისთვის ხდება მისი დასაშვები ღირებულება, რომელიც შემდგომში ცვეთას ექვემდებარება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხება ხარჯად.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
საოფისე შენობები	50-100
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, ან იჯარის მოსალოდნელ ვადაზე, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა.

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის განმავლობაში გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები ექსპლუატაციისთვის მზად არის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საპენსიო ფონდის აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფი თავის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს, თავისი ყოფილი მშობელი კომპანიის (დღესდღეობით საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს) - სს „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფის“ სხვა საწარმოებსა და ჯგუფთან დაუკავშირებელ კლიენტებს სთავაზობს კერძო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას. აღნიშნული წარმოადგენს განსაზღვრული შენატანის მქონე საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას, რომელიც ეხება ჯგუფის და სს „საქართველოს ბანკის“ თითქმის ყველა სრულ განაკვეთზე დაქირავებულ თანამშრომელს. ჯგუფი შენატანებს იღებს მისი თანამშრომლებისაგან, სს „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლებისაგან და სხვა კლიენტებისგან. როდესაც თანამშრომელი მიაღწევს საპენსიო ასაკს, დაგროვილი შენატანები, ნებისმიერი დამატებითი შემოსავლის ჩათვლით, გადახდილ უნდა იქნას თანამშრომლისათვის მასთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. დაგროვილი თანხა ნაწილდება სათანადო პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც თანამშრომელი მიიღებს დაგროვილ დახმარებას. დაკავებული თანამდებობის გათავისუფლების შემთხვევაში, კლიენტს აქვს დაგროვილი შენატანების ერთიანად მიღების უფლება.

ჯგუფს აქვს მიღებული ლიცენზია, აწარმოოს საპენსიო ფონდის საქმიანობა. ამ ლიცენზიით ის უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო შენატანები საქართველოს მოსახლეობისგან და აიღოს მათი შემდგომი გადახდის ვალდებულება სარგებლის ჩათვლით.

ფონდის აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საპენსიო ფონდის აქტივებისა და საპენსიო ფონდის ვალდებულებების ნაწილში. საპენსიო ფონდის აქტივები და საპენსიო ფონდის ვალდებულებები ფასდება ბასს 39-ის მიხედვით, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაციის მიხედვით. ჯგუფი საინვესტიციო გეგმის მონაწილეებს არ აძლევს ინვესტიციიდან შემოსავლის გარანტიას.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები.

პირველადი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსავლისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (რომლებიც ეხება გაუნაწილებელ მოგებას) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

სასარგებლო გამოყენების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ცვეთა არ ერიცხება. ისინი ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურების გამოსავლენად ინდივიდუალურად, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე. განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველწლიურად გადაისინჯება აქტივის მიმდინარე სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის სტატუსის დაზუსტების მიზნით.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

თუ ჯგუფი მოელის დარეზერვებული თანხის დაფარვას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, დაფარვის აღიარება ხდება ცალკე აქტივად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ანაზღაურება რეალურად არის მოსალოდნელი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

წილობრივი გადახდის ოპერაციები

ჯგუფის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა იღებს აქციებით ანაზღაურებას, ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფის“ წილობრივი ინსტრუმენტების სახით. აქციების გადაცემა და გადახდა ხდება თვითონ ჯგუფის მიერ და აღირიცხება, როგორც ფულით განსაზღვრული ოპერაციები.

ფულით განსაზღვრული გარიგებები

ფულით განსაზღვრულ გარიგებებზე დანახარჯები თავდაპირველად აისახება გაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით საბაზრო მონაცემების მიხედვით. ამ სამართლიანი ღირებულების ხარჯებში ჩამოწერა და შესაბამისი ვალდებულების აღიარება ხდება გადაცემის თარიღამდე პერიოდში. ვალდებულების გადაფასება სამართლიანი ღირებულების მისაღებად წარმოებს ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ანგარიშსწორების თარიღის ჩათვლით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება თანამშრომელთა სარგებელზე გაწეულ ხარჯში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები წარმოდგენილია მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

მოზიდული პრემია

მოზიდული სადაზღვევო პრემიების აღიარება ხდება პოლისის გაცემისთანავე, ხოლო მათი გამომუშავება ხდება პროპორციულად, შესაბამისი პოლისით დადგენილი ვადის განმავლობაში. მოზიდული სადაზღვევო პრემიები ასახავს წლის განმავლობაში დაწყებულ საქმიანობას, წარმოდგენილია საკომისიოს გამოქვითვამდე და არ მოიცავს გაყიდვასთან დაკავშირებულ გადასახადებს თუ მოსაკრებელს. გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიების ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ანგარიშგების თარიღის შემდგომ რისკის პერიოდებს. გამოუმუშავებელი პრემიები ძირითადად გამოითვლება პროპორციულად თითოეული თვისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

გადაცემული პრემიები

გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით გადასახდელი პრემიების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც გაფორმდა გადაზღვევის ხელშეკრულება და მოიცავს გაანგარიშებას, რომელშიც თანხები არ არის განსაზღვრული ანგარიშგების თარიღისთვის. პრემიების ხარჯად აღიარება ხდება გადაზღვევის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და ძირითადად ყოველდღიურად, პროპორციული წესით გამოითვლება.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

შემდგომ პერიოდებს მიკუთვნებული მოზიდული პრემიის წილი გადავადდება, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ცვლილება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის რისკის პერიოდის ამოწურვის მიხედვით ან, ანუიტეტების შემთხვევაში, მოსალოდნელი სადაზღვევო გადახდების ოდენობის მიხედვით.

სარგებელი და ზარალი

სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალები ასახავს წლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების საერთო ხარჯს, მათ შორის ზარალის რეგულირებაზე გაწეულ დანახარჯებს. გარდაცვალებისა და პოლისის შეწყვეტის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების ხარჯები აღირიცხება მიღებული შეტყობინებების საფუძველზე. გადახდის ვადები და ანუიტეტური შენატანები აღირიცხება მათი დაფარვის შესაბამისი თარიღებით. აღრიცხული სარგებელი შემდეგ დაირიცხება ვალდებულების ნაწილში.

ზოგადი სადაზღვევო ზარალები მოიცავს წლის განმავლობაში მომხდარ და გაცხადებულ ან განუცხადებელ ზარალს, მათ შორის ამ ზარალის დარეგულირების ხარჯებს და ნარჩენი ან სხვა სალიკვიდაციო ღირებულებების შემცირებას, ასევე გასული წლების მოთხოვნებში შესულ კორექტივებს.

ზარალის დარეგულირების ხარჯებში შედის ყველა შიდა და გარე დანახარჯი, რომელიც გაწეულია სადაზღვევო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. შიდა დანახარჯები მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების სადაზღვევო სადაზღვევო ზარალების რეგულირების განყოფილებისთვის მიკუთვნებულ ნაწილს.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“-ი) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსავლისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი).

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია საკურსო ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, იყო 2.5922, 2.6468 და 2.3949 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

რისკის მართვის სტრატეგიის ფარგლებში, ჯგუფი იყენებს სავალუტო კონტრაქტებს, რომ მართოს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკი. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება და შემდეგ მათი შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც საკურსო ზარალი.

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე აპირებს. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 *„სადაზღვევო ხელშეკრულებები“*, ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს, და ჩაანაცვლებს ფასს 4-ს *„სადაზღვევო ხელშეკრულებები“*.

ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია შეფასების მიზნებისთვის, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს (უნივერსალურ მოდელს) სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელსაც ერთვის ცვლადი გადასახდელის მიდგომა ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები და არსებითად არის ინვესტიციასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებები და პრემიის განაწილების მიდგომა, რომელიც ძირითადად გამოიყენება მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის და, ჩვეულებრივ, ვრცელდება გარკვეულ არასიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე.

სადაზღვევო ხელშეკრულებების ახალი სააღრიცხვო მოდელის ძირითადი მახასიათებლებია:

- სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების შეფასების, რომელიც ითვალისწინებს რისკის ფაქტორების მიხედვით აშკარა კორექტირებას, ხელახლა შეფასება თითოეული საანგარიშგებო პერიოდისთვის (რეალიზებადი ფულადი ნაკადები - მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ფულის დროითი ღირებულებისა და ფინანსური რისკების გათვალისწინებით);
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც უდრის და უკუპროპორციულია ხელშეკრულებების ჯგუფის რეალიზებადი ფულადი ნაკადების ნებისმიერი პირველი დღის შემოსავლისა. სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების გამოუმუშავებელ მომგებიანობას და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მომსახურების ვადაზე (ანუ მოცულ პერიოდზე);
- სამომავლო ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დისკონტირებული ღირებულების გარკვეული ცვლილებები კორექტირდება სახელშეკრულებო მომსახურების მარჟის მიხედვით და ამიტომ მათი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სახელშეკრულებო მომსახურების დარჩენილ ვადაზე.
- დისკონტირების განაკვეთების ცვლილებების ეფექტი აღირიცხება ან მოგებაში/ზარალში, ან სხვა სრულ შემოსავალში, იმისდა მიხედვით, თუ რას ირჩევს შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა.
- სადაზღვევო შემოსავლისა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯების აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურების კონცეფციის საფუძველზე;

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

- თანხები, რომლებსაც პოლისის მფლობელი ყოველთვის მიიღებს, იმისდა მიუხედავად, მოხდება თუ არა სადაზღვევო შემთხვევა (ინვესტიციის არამკაფიო კომპონენტები), არ არის წარმოდგენილი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მათი აღიარება პირდაპირ ბალანსში ხდება;
- სადაზღვევო მომსახურების შედგები (მიღებულ შემოსავალს გამოკლებული გაწეული ზარალი) სადაზღვევო საქმიანობის ფინანსური შემოსავლისა თუ ხარჯისგან ცალკეა წარმოდგენილი;
- დაწვრილებით განმარტებითი შენიშვნები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან აღიარებულ თანხებზე და ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რისკების ხასიათსა და მოცულობაზე.

ფასს 17 ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა. თუმცა, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის სრული რეტროსპექტული გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საწარმო ვალდებულია, აირჩიოს ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, ან სამართლიანი ღირებულების მეთოდი.

ჯგუფი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის ფასს 9-სთან ერთად (იხ. ზემოთ). ჯგუფი ამჟამად აფასებს ზემოაღნიშნული ცვლილების გავლენას. ამ დროისთვის ჯგუფი აფასებს ზემოაღნიშნული ცვლილების გავლენას.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის *„ფინანსური ინსტრუმენტები“* ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს *„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“* და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ფასს 9-ის გავლენას, რომ გადაწყვიტოს, ახალი სტანდარტი მისი ძალაში შესვლის თარიღით მიიღოს, თუ ფასს 9-ის გამოყენება გადაავადოს სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ ახალი სტანდარტის (ფასს 17) ძალაში შესვლის უადრეს თარიღამდე (2021 წლის 1 იანვარი), რომლითაც ინერგება დროებითი გამონაკლისები ფასს 9-ის გამოყენებიდან, ქვემოთ აღწერილი ცვლილებების შესაბამისად (იხილეთ ქვემოთ).

ცვლილებები ფასს (IFRS) 4-ში - ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს (IFRS) 4-თან „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ერთად

2016 წლის სექტემბერში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 4-ის შესწორებები, რომლებიც ეხება ფასს 9-ისა და სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ ახალი სტანდარტის (ფასს 17) ძალაში შესვლის სხვადასხვა თარიღთან დაკავშირებულ საკითხებს.

ცვლილებები იმ საწარმოებს, რომლებიც ხელშეკრულებებს ფასს 4-ის ფარგლებში აფორმებენ, ორ ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს: დროებით გამონაკლისს ფასს 9-ის გამოყენებიდან და „გადაფარვის“ მიდგომას. დროებითი გამონაკლისი შესაბამის საწარმოებს საშუალებას აძლევს გადაავადონ ფასს 9-ის დანერგვის თარიღი მაქსიმუმ 2021 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია ფასს 9-დან დროებითი გამონაკლისის გამოყენება, თუ: (i) მას მანამდე არ გამოყენებია ფასს 9-ის რომელიმე ვერსია და (ii) მისი საქმიანობა ძირითადად უკავშირდება დაზღვევას თავისი წლიური საანგარიშგებო თარიღისთვის, რომელიც წინ უსწრებს 2016 წლის 1 აპრილს. „გადაფარვის“ მიდგომა საწარმოს, რომელიც ფასს 9-ს იყენებს, საშუალებას აძლევს მოახდინოს იმ თანხის რეკლასიფიცირება მოგებას ან ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის, რომელიც ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის გარკვეულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ მოგებაში ან ზარალში აისახება და შეადგენს იმ ოდენობას, რაც იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ამ კონკრეტული ფინანსური აქტივებისთვის ბასს 39-ს გამოიყენებდა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

საწარმოს ფასს 9-დან დროებითი გამონაკლისის გამოყენება შეუძლია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია დაიწყოს გადაფარვის მიდგომის გამოყენება ფასს 9-ის პირველად გამოყენებისას.

2016 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეაფასა ცვლილებები და გამოიტანა დასკვნა, რომ მისი საქმიანობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადად უკავშირდებოდა დაზღვევას. 2017 წლის განმავლობაში ჯგუფის საქმიანობაში არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომ მისი ხელახლა შეფასება გამხდარიყო საჭირო. ჯგუფი აპირებს ფასს 9-დან დროებითი გამონაკლისის გამოყენებას და, შესაბამისად, ბასს 39-ის გამოყენების გაგრძელებას თავისი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფასს (IFRS) 2 „წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება“ – ცვლილებები ფასს 2-ში

ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში *„წილობრივი გადახდა“*, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენას ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთგაქვითვის პირობის მქონე წილობრივი გადახდის გარიგების კლასიფიკაციას დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრულ აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც წილობრივი გადახდის გარიგების პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის. ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადაანგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილდება სხვა კრიტერიუმებიც. ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ამ დროისთვის ჯგუფი აფასებს ზემოაღნიშნული ცვლილების გავლენას.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს *„იჯარა“*, ფაისკ (IFRIC) 4-ს *„როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“*, იმკ (SIC) 15-ს *„საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“* და იმკ (SIC) 27-ს *„გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“*.
ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. 2018 წელს ჯგუფი გააგრძელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას.

საინვესტიციო ქონების გადატანა - ცვლილება ბასს 40-ში

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი ქონება, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების მიხედვით, მიზნობრიობის ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ქონება აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს დანიშნულების შეცვლის მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განზრახვის შეცვლა არ წარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. საწარმოებმა ეს ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენონ იმ დანიშნულების შეცვლაზე, რომელიც ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან დაწყების შემდეგ, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს. საწარმომ ხელახლა უნდა შეაფასოს ამ თარიღისთვის თავის მფლობელობაში არსებული ქონების კლასიფიკაცია და, თუ ეს შესაძლებელია, მოახდინოს ქონების რეკლასიფიკაცია, რათა ასახოს ამ თარიღისთვის არსებული პირობები. რეტროსპექტულად გამოყენება ბასს 8-ის შესაბამისად ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ ის შესაძლებელია წარსული მოვლენების შეფასების გარეშე. ცვლილება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფი ამჟამად აფასებს მის გავლენას.

წლიური გაუმჯობესება 2014-2016 წ.წ. ციკლი

ბასს (IAS) 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ - განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს

ცვლილებები განმარტავს, რომ:

- საწარმოს, რომელიც არის სარისკო კაპიტალის ორგანიზაცია ან სხვა ნებადართული საწარმო, თითოეული ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას მათი ინდივიდუალურად განხილვის საფუძველზე, შეუძლია შეაფასოს თავისი ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
- თუ საწარმო, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო საწარმო, ფლობს წილს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც საინვესტიციო საწარმოა, მას შეუძლია, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას არჩიოს სამართლიანი ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელსაც იყენებს ეს საინვესტიციო მეკავშირე თუ ერთობლივი საწარმო საინვესტიციო მეკავშირე თუ ერთობლივი საწარმოს წილის მიმართ შვილობილ კომპანიებში. ეს არჩევანი კეთდება ინდივიდუალურად თითოეული საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მომდევნო თარიღებიდან უგვიანესით: (ა) ხდება საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარება; (ბ) მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო ხდება საინვესტიციო საწარმო; და (გ) საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

ეს ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. ისინი სავარაუდოდ არ იმოქმედებს ჯგუფზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ვინაიდან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ჯგუფი არ მოელის, რომ ის რამე გავლენას მოახდენს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია - „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“

ინტერპრეტაცია ეხება მოგებიდან გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ.

საწარმომ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ასევე ეხება დაშვებებს, რომლებსაც საწარმო აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიმართ დარიცხული გადასახადების გადამოწმებისას, აგრეთვე იმას, თუ როგორ განიხილავს ის ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებებს.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. ჯგუფი ამჟამად აფასებს მის გავლენას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

განუსაზღვრელობის შეფასება

ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს, განხილულია ქვემოთ:

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება

სიცოცხლის და ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების საერთო მოცულობა ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებაა. არსებობს უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ჯგუფის მიერ ამ ზარალის ასანაზღაურებლად გადახდილი ვალდებულების შეფასებისას.

შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც ანგარიშგების თარიღისთვის გაცხადებული ზარალის მოსალოდნელი ოდენობის, ისე ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საერთო მოცულობის შესახებ. ზარალის საერთო მოცულობის ზუსტად დადგენას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განუსაზღვრელობის შეფასება (გაგრძელება)

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის საერთო ხარჯი გამოითვლება ზარალის პროგნოზირების სტანდარტული აქტუარული მეთოდების გამოყენებით, მათ შორის ე. წ. ჯაჭვისებური კიბის და სტოქასტიური მოთხოვნების დარეზერვების მეთოდებით. ალბათური მიდგომა - სტოქასტიური მოდელი გამოიყენება ავტოდაზღვევისას Casco Insurance-ში მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის შესაფასებლად მონტე კარლოს სიმულაციის მეთოდის მეშვეობით, ზარალის წარსულ სტატისტიკაზე დაყრდნობით. დაზღვევის სხვა ტიპებისთვის გამოიყენება ჯაჭვისებური კიბის მეთოდი - ამ მეთოდის ძირითადი საფუძველია ის დაშვება, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი ზარალის დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო ზარალის დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდები პროგნოზისთვის ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას გასული წლის ყოველთვიურ ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სადაზღვევო ზარალის რეზერვის საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 18,351 ლარი (2016 წ.: 12,173 ლარი). სადაზღვევო ზარალის რეზერვის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-18 შენიშვნა.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანებისა და გადაზღვევის დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების შესაფასებლად ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს მოთხოვნებს დაზღვევიდან და გადაზღვევიდან. სააღრიცხვო მიზნებისთვის ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარებისთვის იყენებს განცდილი ზარალის მოდელს. რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალის აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონკრეტული ზარალის დადგომის შემთხვევის ობიექტური მტკიცებულება. გამომწვევ მიზეზებს შორისაა კლიენტის ფინანსური სირთულეები და/ან ხელშეკრულების პირობების, მაგალითად გადახდის პირობის დარღვევა. რეზერვის მოცულობა მცირდება დავალიანების იმ თანხით, რომლის ამოღებასაც ჯგუფი საფუძვლიანად ვარაუდობს. ხელმძღვანელობის განსჯით, წარსულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად. დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების რეზერვის საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 3,836 ლარი (2016 წ.: 7,204 ლარი). სადაზღვევო დებიტორული დავალიანებისა და გადამზღვევლისგან მისაღები პრემიების გაუფასურების რეზერვის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 და მე-15 შენიშვნები.

გუდვილის ამოღებადობა

ჯგუფი მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას. ამისთვის საჭიროა იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების დადგენა, რომელზეც გუდვილია განაწილებული. გამოყენების ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების გაანგარიშებას და ასევე შესაფერისი დისკონტური განაკვეთის შერჩევას ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულების გამოთვლის მიზნით. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემრისთვის გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა. გუდვილის საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	2017	*2016*
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	56	30
მიმდინარე ანგარიშები	4,130	4,319
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**4,186**	**4,349**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინდივიდუალურად შეადგენს 3,918 ლარს (2016 წ.: 4,036 ლარი). საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულოა რეზერვის ანგარიშზე მინიმალური დონის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების განთავსება ტექნიკური რეზერვების 10%-ის ოდენობით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სავალდებულო რეზერვის მოთხოვნის შესახებ დადგენილების შესაბამისად, რაც ანგარიშგების თარიღისთვის 2,986 ლარს შეადგენს (2016 წ.: 2,910). სავალდებულო მინიმალური დონის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაიშვება საპენსიო ფონდის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიც, რომელიც შეადგენს 1,952 ლარს (2016 წ.: 2,202 ლარი) (მე-14 შენიშვნა).

6. საბანკო ანაბრები

31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანაბრები მოიცავს შემდეგს:

	2017	*2016*
სს „საქართველოს ბანკი“	16,095	13,602
სს „თიბისი ბანკი“	4,442	1,837
სს „ვითიბი ბანკი“	2,836	–
სს „ფინკა ბანკი“	781	410
სს „ტერა ბანკი“	778	2,817
სს „ლიბერთი ბანკი“	756	1,589
სს „ჰალიკ ბანკი“	280	256
სს „ბანკი რესპუბლიკა“	–	4,019
სს „ბაზისბანკი“	–	398
სულ საბანკო ანაბრები	**25,968**	**24,928**

საბანკო ანაბრები წარმოდგენილია საქართველოს ბანკებში მოკლევადიანი (სამი თვიდან ერთ წლამდე) და საშუალო ვადიანი განთავსებებით, რომლებზეც ირიცხება 9.5%-დან 12.5%-მდე წლიური პროცენტი (2016 წ.: 8.5%-დან 13.5%-მდე). დაკავშირებულ მხარესთან განთავსებულ საბანკო ანაბრებზე დარიცხული წლიური პროცენტი შეადგენს 10.5% (2016 წ.: 8.5%-დან 11.5%-მდე).

ჯგუფს დაგირავებული აქვს თავისი მოკლევადიანი ანაბრების ნაწილი უზრუნველყოფის მოთხოვნების შესასრულებლად 2016 წელს. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-19 შენიშვნა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედის:

2017	*საბალანსო ღირებულება*	*ვალუტა*	*დაფარვის ვადა*	*ნომინალური განაკვეთი*
სს „საქართველოს ბანკი“	3,028	ლარი	ივნისი, 2020 წ.	11.0%
სს „m2 უძრავი ქონება“	802	აშშ დოლარი	ოქტომბერი, 2019 წ.	7.5%
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“	200	ლარი	31 დეკემბერი, 2019 წ.	11.0%
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“	150	ლარი	ივნისი, 2018 წ.	15.0%
სულ გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	**4,180**			

გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედის:

2016	*საბალანსო ღირებულება*	*ვალუტა*	*დაფარვის ვადა*	*ნომინალური განაკვეთი*
სს „m2 უძრავი ქონება“	1,090	აშშ დოლარი	მარტი, 2017 წ.; ოქტომბერი, 2019 წ.	9.5%; 7.5%
სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი"	1,071	აშშ დოლარი	მაისი, 2017 წ.	9.5%
შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	631	ლარი	აგვისტო, 2017 წ.	14.0%
შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო“	332	ლარი	აპრილი, 2017 წ.	15.0%
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“	265	აშშ დოლარი	მარტი, 2017 წ.	13.0%
სულ გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	**3,389**			

8. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოიცავდა შემდეგს:

	2017	*2016*
მოთხოვნები პოლისის მფლობელების მიმართ	28,933	27,793
მოთხოვნები გადამზღვევთა მიმართ	3,329	2,419
	32,262	**30,212**
გამოკლებული - პოლისების მფლობელებისგან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი (მე-15 შენიშვნა)	(3,836)	(7,204)
სულ მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	**28,426**	**23,008**

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება სამართლიან ღირებულებებს წლის ბოლოსთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება შემდეგისგან:

	2017	*2016*
მიმდინარე გადასახადის დანარიცხი	2,773	2,890
გადავადებული გადასახადის დანარიცხი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და აღდგენა	202	428
მოგების გადასახადის ხარჯი	**2,975**	**3,318**

საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. 2017 წელს მოგების გადასახადი საქართველოში შეადგენდა 15%-ს (2016 წ.: 15%).

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან.

31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების გადასახადის მიმდინარე და საკანონმდებლო განაკვეთების გათვალისწინებით ხარჯის შედარება შემდეგია:

	2017	*2016*
დასაბეგრი მოგება	**19,275**	**17,080**
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	**2,892**	**2,570**
მოგება, რომელიც დაბეგვრას არ ექვემდებარება	–	(236)
საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ეფექტი	–	747
გამოუქვითავი ხარჯები	83	237
მოგების გადასახადის ხარჯი	**2,975**	**3,318**

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს 12-ის *„მოგების გადასახადი“* თანახმად, ჯგუფმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია იმ პერიოდებში, როდესაც ჯგუფის სხვადასხვა კომპანიაზე შესაბამისად გავრცელდება ახალი რეგულაცია 2017 წლის ან 2019 წლის 1 იანვრიდან.

ჯგუფმა აღიარა 747 ლარის ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების შემობრუნების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის ხარჯი 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნეს საქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის *„მოგებიდან გადასახადები“* მოქმედების არეალს და, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, 2017 წლის 1 იანვრიდან ან 2019 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას ჯგუფის 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში ასეთია:

	2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	*მოგებაში ან ზარალში*	*2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*მოგებაში ან ზარალში*	*2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი					
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	1,498	(1,002)	496	(140)	356
მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	691	(691)	–	–	–
სხვა აქტივები	1,220	(723)	497	(62)	435
ინვესტიციები	87	–	87	–	87
გადავადებული საგადასახადო აქტივები	**3,496**	**(2,416)**	**1,080**	**(202)**	**878**
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი					
მთლიანი ტექნიკური რეზერვები	336	(336)	–	–	–
ძირითადი საშუალებები	120	(120)	–	–	–
არამატერიალური აქტივები	1,515	(1,515)	–	–	–
სხვა ვალდებულებები	17	(17)	–	–	–
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	**1,988**	**(1,988)**	**–**	**–**	**–**
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები	**1,508**	**(428)**	**1,080**	**(202)**	**878**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითვას დაექვემდებარება, თუ კანონით გათვალისწინებულია მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებებთან გაქვითვის უფლება; ამასთან, როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრ კომპანიაზე ან კომპანიებზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს და როდესაც არსებობს ნაშთების ურთიერთგაქვითვის განზრახვა.

ამჟამად საქართველოში სახელმწიფო ორგანოების მიერ დაკისრებულ სხვადასხვა გადასახადთან დაკავშირებით რამდენიმე კანონი მოქმედებს. მათ შორისაა დამატებითი ღირებულების, მოგების და სხვა გადასახადები. სხვა უფრო განვითარებული ეკონომიკური ბაზრებისგან განსხვავებით ამ გადასახადების შესახებ კანონები დიდი ხანი არაა, რაც მოქმედებს. ამიტომ ნორმატიული აქტები ხშირად ბუნდოვანია ან საერთოდ არ მოიძებნება, ან არასაკმარისი პრეცედენტი არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში ჩვეულებრივ გაცილებით მაღალია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. გადასახადები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ. ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის არსებული და სამომავლო კანონმდებლობისა და საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება და ინტერპრეტაცია. მსგავს მოვლენებსა და მათ შედეგებს შეიძლება გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის საქმიანობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოში.

10. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

გადავადებული აკვიზიციური ხარჯების მოძრაობა პირდაპირ, აღებულ და გადაცემულ გადაზღვევაზე შემდეგია:

	გადავადებული აკვიზიციური ხარჯები
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,915**
გადავადებული ხარჯები (25-ე შენიშვნა)	1,475
ამორტიზაცია (25-ე შენიშვნა)	(717)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,673**
გადავადებული ხარჯები (25-ე შენიშვნა)	1,236
ამორტიზაცია (25-ე შენიშვნა)	(993)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,916**

11. საინვესტიციო ქონება

	საინვესტიციო ქონება
1 იანვარი, 2016 წ.	**–**
შემოსვლები	497
წმინდა შემოსავალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან (29-ე შენიშვნა)	348
31 დეკემბერი, 2016 წ.	**845**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**845**

2016 წლის აგვისტოში ჯგუფმა მიიღო სს „ერთიანი კაპიტალისთვის“ 2014 წლის დეკემბერში გაცემული სესხის ფარგლებში ჩამორთმეული ქონება. გარიგებაში ნაღდი ფული არ მონაწილეობდა.

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. ბოლო გადაფასების თარიღი 2017 წლის 8 აგვისტო იყო და იგი ჩაატარა პროფესიონალმა შემფასებელმა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მოახდინა თავისი საინვესტიციო ქონების საბაზრო ფასების ანალიზი და დაასკვნა, რომ საბაზრო ფასი არსებითად არ განსხვავდებოდა მისი საბალანსო ღირებულებისგან. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება დაწვრილებით აღწერილია 31-ე შენიშვნაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	*ავეჯი და მოწყობილობები*	*კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა*	*ავტოსატრანსპორტო საშუალებები*	*იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება*	*სულ*
თვითღირებულება						
31 დეკემბერი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**7,631**	**901**	**1,282**	**426**	**543**	**10,783**
შემოსვლები	1,834	91	242	206	71	**2,444**
გასვლები	–	(23)	(70)	(148)	(18)	**(259)**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**9,465**	**969**	**1,454**	**484**	**596**	**12,968**
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**575**	**478**	**834**	**155**	**23**	**2,065**
ცვეთის დანარიცხი	145	76	142	86	2	**451**
გასვლები	–	(15)	(42)	(118)	–	**(175)**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**720**	**539**	**934**	**123**	**25**	**2,341**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**7,056**	**423**	**448**	**271**	**520**	**8,718**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**8,745**	**430**	**520**	**361**	**571**	**10,627**

	მიწა და შენობა-ნაგებობები	*ავეჯი და მოწყობილობები*	*კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა*	*ავტოსატრანსპორტო საშუალებები*	*იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება*	*სულ*
თვითღირებულება						
1 იანვარი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**7,591**	**727**	**1,127**	**286**	**165**	**9,896**
შემოსვლები	183	192	225	250	398	**1,248**
გასვლები	(143)	(18)	(70)	(110)	(20)	**(361)**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**7,631**	**901**	**1,282**	**426**	**543**	**10,783**
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**491**	**415**	**713**	**142**	**8**	**1,769**
ცვეთის დანარიცხი	123	68	138	56	15	**400**
გასვლები	(39)	(5)	(17)	(43)	–	**(104)**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**575**	**478**	**834**	**155**	**23**	**2,065**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი, 2016 წ.	**7,100**	**312**	**414**	**144**	**157**	**8,127**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**7,056**	**423**	**448**	**271**	**520**	**8,718**

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები არ არის გამოყენებული უზრუნველყოფის სახით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილის და სხვა არამატერიალური აქტივების მოძრაობა ასეთი იყო:

	გუდვილი	*ლიცენზიები*	*კომპიუტერული პროგრამები*	*სულ*
თვითღირებულება				
1 იანვარი, 2016 წ.	13,063	920	1,061	**15,044**
შემოსვლები	–	388	210	**598**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**13,063**	**1,308**	**1,271**	**15,642**
შემოსვლები	–	223	49	**272**
გასვლები	–	(5)	–	**(5)**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**13,063**	**1,526**	**1,320**	**15,909**
აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურება				
1 იანვარი, 2016 წ.	–	163	633	**796**
ამორტიზაციის დანარიცხი	–	205	169	**374**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**–**	**368**	**802**	**1,170**
ამორტიზაციის დანარიცხი	–	250	154	**404**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**–**	**618**	**956**	**1,574**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2016 წ.	**13,063**	**940**	**469**	**14,472**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**13,063**	**908**	**364**	**14,335**

ფულადი სახსრების წარმომქმნელი მთლიანი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. ჯგუფმა გამოიყენა ფულადი ნაკადების პროგნოზი, რომელიც ემყარება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ სამწლიან ფინანსურ ბიუჯეტს. კომპანია მთლიანად მიიჩნევა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულად გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების შესაბამისად, ფულადი ნაკადების პროგნოზირების გზით, დამტკიცებულ ბიუჯეტზე დაყრდნობით, იმ დაშვებით, რომ საქმიანობა თანდათანობით გაფართოვდება და ფულადი ნაკადები სტაბილური იქნება. ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დაბეგვრამდელი კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი არ დაკორექტირდა მუდმივი ან კლებადი ზრდის ტემპისთვის იმ სამწლიანი პერიოდის მიღმა, რომელსაც ფინანსური ბიუჯეტები მოიცავს. ზრდის ეფექტური წლიური განაკვეთი სამი წლის ფინანსურ ბიუჯეტებში არის 22.1% (2016 წ.: 17.8%). გაუფასურების შემოწმების მიზნებისთვის, დაშვებულია მუდმივი ზრდის 0%-იანი ტემპი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის სამომავლო საოპერაციო ფულადი ნაკადების შესაფასებლად. ფულადი ნაკადების პროგნოზებისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 14.6%-ს (2016 წ.: 16.3%).

გონივრული შესაძლო ცვლილებები ძირითად დაშვებებში (-5 პროცენტული პუნქტით შემცირება ეფექტურ წლიურ ზრდის ტემპში სამწლიან ბიუჯეტებში და +2 პროცენტული პუნქტით ზრდა დისკონტირების განაკვეთში) არ გამოიწვევდა გუდვილის გაუფასურებას 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. საპენსიო ფონდის აქტივები და ვალდებულებები

2005 წლის 2 ივნისს ჯგუფმა შექმნა კერძო საპენსიო სქემა. ჯგუფის თანამშრომლებისა და სხვა პირების შენატანები აღირიცხება, როგორც დაგროვილი საპენსიო ვალდებულება, რომლის გადახდაც საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის მონაწილეთათვის მოხდება მათი საპენსიო ასაკის დადგომის შემდგომ. ასევე, პროგრამის მონაწილეთა საპენსიო დანაგროვზე გამომუშავებული ნებისმიერი შემოსავალი აკუმულირდება და დაემატება დაგროვილ საპენსიო ვალდებულებას. თანამშრომლის საპენსიო ასაკის დადგომისას საპენსიო შენატანები აკუმულირებულ საინვესტიციო მოგებასთან ერთად, გადაეცემა პროგრამის მონაწილეს წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

პირებისგან თანხების შეგროვების შემდეგ, ჯგუფი ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას ამ პირთა სახელით, რათა მიიღოს დამატებითი მოგება დაგროვილ თანხებზე. საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის თითოეული მონაწილის მთლიანი წმინდა დაგროვილი თანხა შეადგენს მის მიერ განხორციელებულ წმინდა შენატანებს დამატებული წმინდა საინვესტიციო მოგება. საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის მონაწილეებისა და ჯგუფის სახელით განხორციელებულ საინვესტიციო საქმიანობას კომპანია ხელმძღვანელობს. არსებული საპენსიო პროგრამის მიხედვით, მამაკაცების საპენსიო ასაკი არის 65 წელი, ხოლო ქალებისა - 60 წელი.

31 დეკემბრისთვის საპენსიო ფონდის ვალდებულებები შეადგენდა:

	2017	*2016*
წმინდა საპენსიო შენატანები საპენსიო ფონდში	11,703	10,734
საერთო წმინდა მოგება წმინდა საპენსიო შენატანებზე	6,833	5,707
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	**18,536**	**16,441**

საპენსიო ფონდის ვალდებულებების მოძრაობა 2017 და 2016 წლებში ასეთი იყო:

	2017	*2016*
საპენსიო ფონდის ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	**16,441**	**13,706**
სულ საპენსიო ფონდის შენატანები წლის განმავლობაში	3,356	3,085
ადმინისტრაციული საკომისიო	(40)	(38)
აქტივების მართვის საკომისიო	(276)	(245)
საინვესტიციო მოგების საკომისიო	(203)	(195)
საწევროს საკომისიო	(6)	(5)
წმინდა საინვესტიციო მოგება (ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გარეშე)	1,651	1,613
გატანილი თანხები მონაწილეთა მიერ	(2,387)	(1,480)
სულ დაგროვილი საპენსიო ფონდი წლის განმავლობაში	**2,095**	**2,735**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**18,536**	**16,441**

საპენსიო ფონდის აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადად მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და ანაბრებს ადგილობრივ კომერციულ ბანკებში:

	2017	*2016*
საბანკო ანაბრები	15,076	12,504
ნაღდი ფული ბანკში	1,952	2,202
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	1,508	1,735
საპენსიო ფონდის აქტივები	**18,536**	**16,441**

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფმა 352 ლარი შეიტანა თანამშრომლების დადგენილგადასახდელიან საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამაში (2016 წ: 282 ლარი).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. გაუფასურების რეზერვი და ანარიცხები

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვების მოძრაობა ასეთია:

	მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან (მე-8 შენიშვნა)	*გაცემული სესხები*
1 იანვარი, 2016 წ.	**5,474**	**–**
დანარიცხი	706	182
ჩამოწერები	(37)	(182)
აღდგენები	–	–
საკურსო სხვაობა	1,061	–
31 დეკემბერი, 2016 წ.	**7,204**	**–**
დანარიცხი	718	–
ჩამოწერები	(3,396)	–
აღდგენები	(82)	–
საკურსო სხვაობა	(608)	–
31 დეკემბერი, 2017 წ.	**3,836**	**–**

აქტივების გაუფასურების რეზერვი გამოიქვითება შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებიდან.

16. სხვა აქტივები

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	2017	*2016*
გადახდილი ავანსები	1,302	764
სუბროგაციის მეშვეობით მიღებული აქტივები	564	464
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	384	478
მოთხოვნები რეგრესიდან	234	327
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	36	199
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადი	84	81
სხვა	569	454
სხვა აქტივები, სულ	**3,173**	**2,767**

17. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართულ ჩვეულებრივ აქციათა რაოდენობა იყო 2,700,000 (2016 წ.: 2,700,000), რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს ერთ ლარს. 1,889,155 ნებადართული აქცია გამოშვებული და სრულად გადახდილია. (2016 წ.: 1,889,155).

ჯგუფის საწესდებო კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდა ლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის ან სხვა სახით მხოლოდ ლარში.

2017 წლის 31 მარტს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ აქციონერმა გამოაცხადა 2017 წლის დივიდენდები, თითოეულ აქციაზე 3.705 ლარის ოდენობით. აქციონერმა 2017 წლის 4 აპრილს მიიღო წლიური დივიდენდები 7,000 ლარის ოდენობით.

2016 წლის 31 აგვისტოს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ აქციონერმა გამოაცხადა 2016 წლის დივიდენდები, თითოეულ აქციაზე 3.768 ლარის ოდენობით. 7,120 ლარის მთლიანი ოდენობის წლიური დივიდენდები აქციონერმა მიიღო 2016 წლის 31 აგვისტოს, კომპანიის საბოლოო მშობლისთვის გაცემული 7,000 ლარის სესხისა და 120 ლარის დარიცხული პროცენტის გაქვითვით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი

მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი 31 დეკემბრისთვის:

	2017	*2016*
მთლიანი ტექნიკური რეზერვები		
- გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	31,921	29,369
- პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვი	18,047	11,831
- მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	304	342
სულ მთლიანი ტექნიკური რეზერვები	**50,272**	**41,542**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი		
- გადამზღვევლების წილი გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვში	(6,731)	(5,673)
- გადამზღვევლების წილი პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვში	(13,940)	(7,488)
- გადამზღვევლების წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვში	–	–
სულ ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	**(20,671)**	**(13,161)**
ტექნიკური რეზერვები გადაზღვევის გამოკლებით		
- გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	25,190	23,696
- პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვი	4,107	4,343
- მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	304	342
სულ ტექნიკური რეზერვები გადაზღვევის გამოკლებით	**29,601**	**28,381**

ტექნიკური რეზერვები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

		2017			*2016*		
	შენიშვნა	*მთლიანი ტექნიკური რეზერვები*	*ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი*	*წმინდა*	*მთლიანი ტექნიკური რეზერვები*	*ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი*	*წმინდა*
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები	ა)	1,711	(476)	**1,235**	1,384	(166)	**1,218**
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები	ბ)	48,561	(20,195)	**28,366**	40,158	(12,995)	**27,163**
სულ მთლიანი ტექნიკური რეზერვები		**50,272**	**(20,671)**	**29,601**	**41,542**	**(13,161)**	**28,381**

ა) წლის განმავლობაში სიცოცხლის დაზღვევის ტექნიკური რეზერვების მოძრაობა ასეთი იყო:

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი (გაგრძელება)

		2017			2016		
	შენიშვნა	მთლიანი ტექნიკური რეზერვები	ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	წმინდა	მთლიანი ტექნიკური რეზერვები	ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	წმინდა
1 იანვრის მდგომარეობით		**1,384**	**(166)**	**1,218**	**660**	**(63)**	**597**
წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	23	9,018	(899)	**8,119**	7,525	(635)	**6,890**
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები		(8,969)	859	**(8,110)**	(7,503)	623	**(6,880)**
მიმდინარე წელს მომხდარი ზარალი		3,589	(491)	**3,098**	3,090	(272)	**2,818**
წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალი	24	(3,311)	221	**(3,090)**	(2,388)	181	**(2,207)**
31 დეკემბრის მდგომარეობით		**1,711**	**(476)**	**1,235**	**1,384**	**(166)**	**1,218**

ბ) ზოგადი დაზღვევის ტექნიკური რეზერვების ანალიზი მოცემულია ქვემოთ. ზარალის დარეგულირების ხარჯების რეზერვი შესულია მთლიან ტექნიკურ რეზერვებში.

		2017			2016		
	შენიშვნა	მთლიანი ტექნიკური რეზერვები	ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	წმინდა	მთლიანი ტექნიკური რეზერვები	ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	წმინდა
პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვი	(1)	16,723	(13,556)	**3,167**	10,844	(7,373)	**3,471**
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		71	–	**71**	50	–	**50**
ასანაზღაურებელი ზარალის რეზერვი		**16,794**	**(13,556)**	**3,238**	**10,894**	**(7,373)**	**3,521**
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	(2)	31,767	(6,639)	**25,128**	29,264	(5,622)	**23,642**
სულ ზოგადი დაზღვევის ტექნიკური რეზერვები		**48,561**	**(20,195)**	**28,366**	**40,158**	**(12,995)**	**27,163**

(1) პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვების ანალიზი მოცემულია ქვემოთ:

		2017			2016		
	შენიშვნა	მთლიანი ტექნიკური რეზერვები	ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	წმინდა	მთლიანი ტექნიკური რეზერვები	ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	წმინდა
1 იანვრის მდგომარეობით		**10,894**	**(7,373)**	**3,521**	**12,377**	**(7,996)**	**4,381**
მიმდინარე წელს მომხდარი ზარალი		37,951	(15,064)	**22,887**	23,512	(7,108)	**16,404**
წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალი	24	(32,051)	8,881	**(23,170)**	(24,995)	7,731	**(17,264)**
31 დეკემბრის მდგომარეობით		**16,794**	**(13,556)**	**3,238**	**10,894**	**(7,373)**	**3,521**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი (გაგრძელება)

(2) გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვის ანალიზი მოცემულია ქვემოთ.

		2017			*2016*		
	შენიშვნა	*მთლიანი ტექნიკური რეზერვები*	*ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი*	*წმინდა*	*მთლიანი ტექნიკური რეზერვები*	*ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი*	*წმინდა*
1 იანვრის მდგომარეობით		**29,264**	**(5,622)**	**23,642**	**24,927**	**(5,767)**	**19,160**
წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	23	79,456	(23,310)	**56,146**	67,865	(19,871)	**47,994**
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები		(76,953)	22,293	**(54,660)**	(63,528)	20,016	**(43,512)**
31 დეკემბრის მდგომარეობით		**31,767**	**(6,639)**	**25,128**	**29,264**	**(5,622)**	**23,642**

მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი - პირობები, დაშვებები და მგრძნობელობა

(ა) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები

(1) პირობები

ჯგუფის მიერ შეთავაზებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები გულისხმობს მხოლოდ ყოველწლიურად ან ყოველთვიურად განახლებად ჩვეულებრივ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვითაც გარდაცვალების შემთხვევაში ხდება სადაზღვევო ანაზღაურების ერთიანად გადახდა.

(2) ძირითადი დაშვებები

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში პრემიები ეყრდნობა სიკვდილიანობის სტატისტიკას, რომლებიც მიიღება სტატისტიკური კვლევის შედეგად. ასეთი ყოველწლიურად განახლებადი სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე მთლიანი თანხის ანაზღაურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა მიმდინარე წლის განმავლობაში. ანგარიშგების თარიღისთვის წლის პროპორციული პრემია, რომელიც ჯერ არ არის გამომუშავებული, გადავადებულია „მთლიანი ტექნიკური რეზერვების“ ნაწილში.

(ბ) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები

(1) პირობები

ჯგუფის მიერ მოზიდული ზოგადი დაზღვევის პრემიების ძირითადი კატეგორიებია ტვირთების, ავტოტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ქონების, ტვირთების ექსპედირების პასუხისმგებლობის, პროფესიული პასუხისმგებლობის, საფინანსო დანაკარგებისგან და საჰაერო ტრანსპორტის დაზღვევა. ამ პოლისების მიხედვით რისკები ჩვეულებრივ თორმეტთვიან პერიოდს ფარავს.

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, ზარალის რეზერვი (რომელშიც შედის პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალები) იქმნება ვალდებულებების შესრულების საერთო ხარჯის დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც მომხდარი და შეფასებულია ანგარიშგების დღისთვის ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით.

რეზერვის გადასინჯვა ხდება ყოველთვიურად ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, რადგანაც დროთა განმავლობაში ზარალის ნაწილი რეგულირდება და ახალი ზარალის შესახებ ხდება ცნობილი. აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი (გაგრძელება)

(გ) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები

(2) დაშვებები

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის გაანგარიშება და ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება იხილეთ მე-3 შენიშვნაში - „სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, ტექნიკური რეზერვები“ და მე-4 შენიშვნაში - მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.

მთლიანი ტექნიკური რეზერვები საქართველოში მოზიდული დაზღვევის შემთხვევაში დიდწილად არის დამოკიდებული სავალუტო კურსის მერყეობაზე, რადგანაც დაზღვევის თანხები ამ ხელშეკრულებებში აშშ დოლარშია გამოხატული (იხილეთ სავალუტო რისკის ანალიზი 30-ე შენიშვნაში).

(3) მოსალოდნელი ზარალის შეფასების მეთოდი (ე. წ. სამკუთხედის მეთოდი)

ქვემოთ მოცემულ ორ ცხრილში წარმოდგენილია გარკვეული დროის განმავლობაში ზარალების მოცულობის განვითარება ბრუტო და ნეტო გადაზღვევის საფუძველზე.

ცხრილები ასახავს როგორც გაცხადებული ზარალების, ისე მომხდარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალების რეზერვებს და კუმულაციურ გადახდებს.

ცხრილებში პროგნოზირებული ზარალები გადაყვანილია ლარში ზარალის დადგომის წლის ბოლოსთვის მოქმედი სავალუტო კურსით.

18. მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი (გაგრძელება)

მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი - პირობები, დაშვებები და მგრძნობელობა (გაგრძელება)

გადაზღვევის ეფექტის გათვალისწინებამდე ზარალის შეფასების ცხრილი ასე გამოიყურება:

	2010	*2011*	*2012*	*2013*	*2014*	*2015*	*2016*	*2017*	*სულ*
ზარალის დადგომის წელიწადი	8,771	7,428	16,301	13,058	16,406	31,128	27,926	43,667	–
ერთი წლის შემდეგ	8,702	7,653	14,048	12,570	15,817	30,186	27,077	–	–
ორი წლის შემდეგ	9,421	7,593	14,021	12,011	15,352	29,889	–	–	–
სამი წლის შემდეგ	9,399	7,556	14,019	12,161	14,986	–	–	–	–
ოთხი წლის შემდეგ	9,367	7,476	14,012	11,566	–	–	–	–	–
ხუთი წლის შემდეგ	9,544	7,476	14,012	–	–	–	–	–	–
ექვსი წლის შემდეგ	9,683	7,482	–	–	–	–	–	–	–
შვიდი წლის შემდეგ	9,653	–	–	–	–	–	–	–	–
მომხდარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	**9,653**	**7,482**	**14,012**	**11,566**	**14,986**	**29,889**	**27,077**	**43,667**	**158,332**
ზარალის დადგომის წელიწადი	(6,665)	(5,700)	(10,733)	(8,867)	(12,268)	(21,926)	(19,254)	(27,753)	–
ერთი წლის შემდეგ	(7,559)	(6,904)	(13,013)	(10,520)	(14,185)	(29,662)	(26,674)	–	–
ორი წლის შემდეგ	(7,887)	(7,441)	(13,937)	(11,463)	(14,467)	(29,766)	–	–	–
სამი წლის შემდეგ	(7,887)	(7,441)	(14,012)	(11,566)	(14,547)	–	–	–	–
ოთხი წლის შემდეგ	(8,220)	(7,441)	(14,012)	(11,566)	–	–	–	–	–
ხუთი წლის შემდეგ	(8,222)	(7,441)	(14,012)	–	–	–	–	–	–
ექვსი წლის შემდეგ	(8,222)	(7,441)	–	–	–	–	–	–	–
შვიდი წლის შემდეგ	(8,222)	–	–	–	–	–	–	–	–
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	**(8,222)**	**(7,441)**	**(14,012)**	**(11,566)**	**(14,547)**	**(29,766)**	**(26,674)**	**(27,753)**	**(139,981)**
მთლიანი აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშგებისთვის	**1,431**	**41**	**–**	**–**	**439**	**123**	**403**	**15,914**	**18,351**
ზედმეტობის/(დეფიციტის) მიმდინარე შეფასება	(881)	(54)	2,289	1,492	1,420	1,239	849		
ნამეტის/(დეფიციტის) % თავდაპირველ მთლიან რეზერვში	-10.05%	-0.73%	14.04%	11.43%	8.66%	3.98%	3.04%		

18. მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი (გაგრძელება)

მთლიანი ტექნიკური რეზერვები და ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი - პირობები, დაშვებები და მგრძნობელობა (გაგრძელება)

გადაზღვევის ეფექტის გათვალისწინების შემდეგ ზარალის შეფასების ცხრილი ასე გამოიყურება:

	2010	*2011*	*2012*	*2013*	*2014*	*2015*	*2016*	*2017*	*სულ*
ზარალის დადგომის წელიწადი	3,937	5,788	12,355	10,337	12,855	21,815	19,601	26,425	–
ერთი წლის შემდეგ	3,934	6,088	12,260	10,086	13,274	21,721	19,347	–	–
ორი წლის შემდეგ	4,506	6,132	12,253	10,190	13,103	21,479	–	–	–
სამი წლის შემდეგ	4,398	6,090	12,249	10,284	13,148	–	–	–	–
ოთხი წლის შემდეგ	4,346	6,090	12,242	10,285	–	–	–	–	–
ხუთი წლის შემდეგ	4,346	6,090	12,242	–	–	–	–	–	–
ექვსი წლის შემდეგ	4,346	6,096	–	–	–	–	–	–	–
შვიდი წლის შემდეგ	4,346	–	–	–	–	–	–	–	–
მომხდარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება:	**4,346**	**6,096**	**12,242**	**10,285**	**13,148**	**21,479**	**19,347**	**26,425**	**113,367**
ზარალის დადგომის წელიწადი	(3,037)	(5,055)	(9,865)	(8,172)	(10,963)	(17,669)	(15,439)	(22,347)	–
ერთი წლის შემდეგ	(3,869)	(5,979)	(11,896)	(9,806)	(12,745)	(21,327)	(19,172)	–	–
ორი წლის შემდეგ	(4,074)	(6,055)	(12,175)	(10,181)	(13,009)	(21,423)	–	–	–
სამი წლის შემდეგ	(4,013)	(6,055)	(12,242)	(10,284)	(13,088)	–	–	–	–
ოთხი წლის შემდეგ	(4,346)	(6,055)	(12,242)	(10,285)	–	–	–	–	–
ხუთი წლის შემდეგ	(4,346)	(6,055)	(12,242)	–	–	–	–	–	–
ექვსი წლის შემდეგ	(4,346)	(6,055)	–	–	–	–	–	–	–
შვიდი წლის შემდეგ	(4,346)	–	–	–	–	–	–	–	–
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე:	**(4,346)**	**(6,055)**	**(12,242)**	**(10,285)**	**(13,088)**	**(21,423)**	**(19,172)**	**(22,347)**	**(108,957)**
ნეტო აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშგებისთვის	**–**	**41**	**–**	**–**	**60**	**56**	**175**	**4,078**	**4,410**
ზედმეტობის/(დეფიციტის) მიმდინარე შეფასება	(409)	(308)	114	52	(293)	335	254		
ნამეტის/(დეფიციტის) % თავდაპირველ წმინდა რეზერვში	-10.39%	-5.31%	0.92%	0.51%	-2.28%	1.54%	1.29%		

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

2017 წლის 28 სექტემბერს ჯგუფმა გააფორმა სავალუტო კონტრაქტი სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსთან“ (დაკავშირებული მხარე). აქტიური კონტრაქტის პირობითი თანხა 2 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. კონტრაქტზე საკურსო ზარალი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 130 ლარს. კონტრაქტს ვადა 2018 წლის 28 სექტემბერს ეწურება.

2016 წლის 18 მაისს ჯგუფმა გააფორმა სავალუტო კონტრაქტი სს „საქართველოს ბანკთან“ (დაკავშირებული მხარე). კონტრაქტის პირობითი თანხა 2.5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. კონტრაქტის შედეგად 2017 წელს კურსთაშორისი სხვაობიდან 710 ლარის შემოსულობა იქნა მიღებული, ხოლო 2016 წელს - 1,144 ლარის საკურსო ზარალი. კონტრაქტს ვადა 2017 წლის 18 მაისს ამოეწურა.

2016 წელს ჯგუფმა თავისი მოკლევადიანი ანაბრების ნაწილი დაგირავებული ჰქონდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ხელშეკრულებების ფარგლებში უზრუნველყოფის მოთხოვნების შესასრულებლად. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაგირავებული მოკლევადიანი ანაბრების საბალანსო ღირებულება 2,217 ლარი იყო.

20. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

	2017	*2016*
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	10,141	8,238
მიღებული ავანსები	1,815	1,166
გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება	139	193
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	**12,095**	**9,597**

21. სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2017	*2016*
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	2,890	2,688
გადასახდელი საკომისიო	1,839	1,879
ფორვარდული კონტრაქტებიდან გადასახდელი თანხები	–	1,105
მიღებული ავანსები	165	224
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	34	126
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	–	50
სხვა	224	619
სხვა ვალდებულებები	**5,152**	**6,691**

22. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი ნორმების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით, შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების თარიღიდან უკანასკნელი ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებური განმარტება ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	2017	*2016*
საოპერაციო იჯარის ვალდებულებები:		
- არაუმეტეს 1 წლისა	740	764
- მინიმუმ 1, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	615	1,105
პირობითი ფინანსური ვალდებულებები	**1,355**	**1,869**

23. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი

წმინდა სადაზღვევო შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

	შენიშვნა	*2017*	*2016*
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდული პრემია	18	79,456	67,865
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდული პრემია	18	9,018	7,525
სულ მოზიდული პრემია		**88,474**	**75,390**
სიცოცხლის დაზღვევის გამოუმუშავებელ რეზერვში მთლიანი ცვლილება		(49)	(22)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში მთლიანი ცვლილება		(2,503)	(4,337)
სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მთლიანი გამომუშავებული პრემია, სულ		**85,922**	**71,031**
გადამზღვევლების წილი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების პრემიებიდან შემოსავალში,	18	(899)	(635)
გადამზღვევლის წილი ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების პრემიებიდან შემოსავალში, პირდაპირი	18	(23,310)	(19,871)
გადამზღვევლების წილი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების გამოუმუშავებელი რეზერვის ცვლილებაში		40	12
გადამზღვევლის წილი ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში		1,017	(146)
სულ გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მთლიან გამომუშავებულ პრემიებში		**(23,152)**	**(20,640)**
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი		**62,770**	**50,391**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. წმინდა სადაზღვევო ზარალი

წმინდა სადაზღვევო ზარალი მოიცავს:

	შენიშვნა	*2017*	*2016*
ზოგადი დაზღვევის შემთხვევაში ანაზღაურებული ზარალი, პირდაპირი	18	(32,051)	(24,995)
სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში ანაზღაურებული ზარალი	18	(3,311)	(2,388)
მთლიანი ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მთლიან ვალდებულებებში		(6,178)	781
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯი		**(41,540)**	**(26,602)**
გადამზღვეველის წილი სიცოცხლის დაზღვევის ანაზღაურებულ ზარალში	18	221	181
გადამზღვევლების წილი ზოგადი დაზღვევის ანაზღაურებულ ზარალში	18	8,881	7,731
გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ვალდებულების ცვლილებაში		6,452	(532)
გადაზღვევის მოთხოვნების ხარჯები		**15,554**	**7,380**
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(1,332)	(780)
შემოსავალი რეგრესიდან		2,220	1,899
წმინდა სადაზღვევო ზარალი		**(25,098)**	**(18,103)**

25. პრემიების მოზიდვის ხარჯი, გადაზღვევის გამოკლებით

აკვიზიციის ხარჯები, გადაზღვევის გარეშე, მოიცავს:

	2017	*2016*
აკვიზიციური ხარჯები	(9,556)	(7,215)
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები (მე-10 შენიშვნა)	1,236	1,475
გადავადებული აკვიზიციური ხარჯების ამორტიზაცია (მე-10 შენიშვნა)	(993)	(717)
გადაზღვევის საკომისიო	213	164
აკვიზიციის ხარჯები, სულ	**(9,100)**	**(6,293)**

26. საინვესტიციო მოგება

საინვესტიციო შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოიცავდა შემდეგს:

	2017	*2016*
საბანკო ანაბრები	2,566	2,663
გაცემული სესხები	9	166
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	390	317
საინვესტიციო მოგება	**2,965**	**3,146**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

27. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	2017	*2016*
ხელფასები	(5,215)	(5,244)
პრემიები	(2,801)	(2,837)
დაზღვევა და სხვა სარგებელი	(152)	(135)
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	(533)	(211)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(8,701)**	**(8,427)**

28. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2017	*2016*
იჯარა და ქირა	(833)	(733)
მარკეტინგი და რეკლამა	(566)	(447)
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	(338)	(278)
კომუნალური ხარჯები	(260)	(239)
წარმომადგენლობითი	(176)	(220)
თანამშრომელთა გადამზადება	(149)	(143)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(124)	(103)
საკომუნიკაციო მომსახურება	(110)	(90)
დაცვა-უსაფრთხოება	(99)	(17)
საოპერაციო გადასახადები	(96)	(84)
საქველმოქმედო საქმიანობა	(90)	(117)
საოფისე მარაგები	(82)	(77)
საწევრო შენატანები	(61)	(60)
ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	(53)	(46)
საწვავი	(48)	(59)
სამივლინებო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	(16)	(88)
პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯი	(10)	(25)
სხვა	(249)	(297)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	**(3,360)**	**(3,123)**

29. წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

	2017	*2016*
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	278	328
ჯარიმა კონტრაქტის დარღვევისთვის	145	63
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	40	78
შემოსავალი საოფისე ფართის იჯარიდან	23	33
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	–	348
„მწვანე ბარათების“ გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	–	168
სხვა	221	86
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	**707**	**1,104**
სხვა საოპერაციო ხარჯები	(68)	(141)
წმინდა სხვა საოპერაციო ხარჯები	**639**	**963**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე რისკი. ამიტომ რისკის მართვა მისი სადაზღვევო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რისკი კომპანიის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მათი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და ყოველდღიური მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. კომპანიის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

მართვის სისტემა

ჯგუფის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია ჯგუფის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. ჯგუფი აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

კომპანიამ დააფუძნა რისკის მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოსთვის, მისი კომიტეტებისა და დაკავშირებული აღმასრულებელი მმართველი კომიტეტებისათვის განკუთვნილი უფლებამოსილების აღწერილობით. ასევე შემუშავებულ იქნა მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა საბჭოს მიერ აღმასრულებელი მმართველი კომიტეტებისა და ზედა რგოლის ხელმძღვანელებისთვის დოკუმენტირებული დელეგირებული უფლებებითა და პასუხისმგებლობით. და ბოლოს, შეიქმნა ჯგუფის პოლიტიკის სქემა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის მზადყოფნას რისკისათვის, რისკის მართვის, კონტროლისა და საქმიანობის წარმართვის სტანდარტებს ჯგუფის წარმოებული საქმიანობისათვის. თითოეულ პოლიტიკას მიჩენილი ჰყავს ზედა რგოლის ხელმძღვანელობის წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფში პოლიტიკის დაცვის უზრუნველყოფაზე.

საბჭომ დაამტკიცა ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემატურად იკრიბება პოლიტიკაში ნებისმიერი კომერციული, ნორმატიული ან ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს ჯგუფის მიერ რისკების იდენტიფიკაციას და განმარტებას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების სათანადო ხარისხი და დივერსიფიკაცია, ანდერაიტინგისა და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა ჯგუფის მიზნებთან და ანგარიშგების მოთხოვნების დაზუსტება.

კაპიტალის მართვის მიზნები

ჯგუფს განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს:

- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ჯგუფის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუუნარობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

ჯგუფის სადაზღვევო და არასადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვის მეთოდი

ჯგუფი ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროების ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად ხდებოდეს აქციონერებისა და პოლისების მფლობელთა მოგების მაქსიმიზაცია.

ჯგუფის მიერ კაპიტალის მართვის მეთოდი გულისხმობს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, გაცხადებული და სავალდებულო კაპიტალის დონეებს შორის არსებული სხვაობის რეგულარულად შეფასებას და ჯგუფის კაპიტალის მდგომარეობაზე გავლენის მოსახდენად შესაბამისი ზომების მიღებას.

მარეგულირებლის მოთხოვნები

სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნებს საქართველოში აწესებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ეს მოთხოვნები სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგზე“ ინდივიდუალურად ვრცელდება. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის თანახმად, სავალდებულოა მინიმალური საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება 2,200 ლარის ოდენობით სიცოცხლის დაზღვევისთვის, 2,000 ლარის ოდენობით - არასიცოცხლის დაზღვევისთვის და 2,200 ლარის ოდენობით - გადაზღვევისთვის, რომლის 100% ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ან საბანკო ანაბრების სახით უნდა განთავსდეს (2016 წ.: 2,200 ლარის ოდენობით სიცოცხლის დაზღვევისთვის, 2,000 ლარის ოდენობით - არასიცოცხლის დაზღვევისთვის და 2,200 ლარის ოდენობით - გადაზღვევისთვის, რომლის 100% ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ან საბანკო ანაბრების სახით უნდა განთავსდეს). ბანკის დასტურის წერილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ყოველთვიურად წარედგინება ზემოაღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად.

მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის გარდა, 2017 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ გადახდისუნარიანობის მარჟის შენარჩუნება, რომელიც გამოითვლება საზედამხედველო კაპიტალის გაყოფით გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალზე, მინიმუმ 50%-ის ოდენობით 2017 წლის 1 ივლისამდე. გადახდისუნარიანობის მარჟა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 75%-ს 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 1 იანვრამდე. 2018 წლის 1 იანვრიდან გადახდისუნარიანობის მარჟა უნდა აღემატებოდეს 100%-ს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური განსაზღვრავს აქტივების ტიპებს, რომლებიც შეიძლება მზღვეველმა გამოიყენოს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საზედამხედველო კაპიტალი შეიცავს მთლიან საკუთარ კაპიტალს, რომელსაც აკლდება არამატერიალური აქტივები და გუდვილი, გადავადებული აკვიზიციური ხარჯები, გადავადებული საგადასახადო აქტივები, გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები, სხვა მხარეების სახელით დაგირავებული აქტივები უზრუნველყოფის სახით, ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში 100 ლარზე მეტის ოდენობით, სხვა აქტივები, შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების 50% (2018 წლის 31 დეკემბრიდან - 100%), საინვესტიციო ქონების 30% და გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივებისა და დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული აქტივების 10%. ფასს-ის მიხედვით მიღებული შედეგები და რეზერვები გარკვეულწილად კორექტირდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მითითებების შესაბამისად.

გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალი არის შემდეგ ორს შორის უდიდესი: 100 მილიონ ლარამდე მოზიდული პრემიების 18%-ს დამატებული 100 მილიონი ლარის ზემოთ პრემიის 16% და 70 მილიონ ლარამდე ზარალების 26%-ს დამატებული 70 მილიონ ლარს ზემოთ მოთხოვნების 23%. ბიზნესის მაღალი რისკის კლასებისთვის პრემია იზრდება ამ გაანგარიშების მიზნებისთვის და ხდება კორექტირებების შეტანა გადაზღვევისთვის.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და დროის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთი ხელშეკრულებებით განპირობებული ძირითადი რისკი, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას, არის ის, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნების შემდგომი ცვლილება.

რისკის ცვალებადობა იმართება ზარალის რისკის სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე დივერსიფიცირებით, რადგანაც შედარებით დივერსიფიცირებული პორტფელზე ნაკლებად მოახდენს გავლენას პორტფელის რომელიმე ნაწილში მომხდარი ცვლილება და გაუთვალისწინებელი შედეგები. რისკების ცვალებადობა ასევე იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიისა და წესების ფრთხილი შერჩევითა და განხორციელებით და ასევე გადაზღვევის მეშვეობით. ჯგუფი ადგენს ანდერაიტინგის წესებსა და ლიმიტებს, რომლებითაც განისაზღვრება, ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა დასაშვები ზღვრების ფარგლებში. ამ ლიმიტების მონიტორინგი მუდმივად წარმოებს.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის ჯგუფი ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს: ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტების ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს საოპერაციო ხარჯები, წმინდა საინვესტიციო შემოსავლისა და საკურსო ზარალის გამოკლებით, შეფარდებული წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. ჯგუფის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითვლება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

	2017	*2016*
ზარალიანობის კოეფიციენტი	40%	36%
კომბინირებული კოეფიციენტი	75%	72%

ძირითადი დაშვებები

ზარალის რეზერვი (რომელშიც შედის პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალები) იქმნება ვალდებულებების შესრულების საერთო ხარჯის დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც მომხდარი და შეფასებულია ანგარიშგების დღისთვის ცნობილ ფაქტებზე, მათ შორის პოტენციური ასანაზღაურებელი ზარალის შეტყობინებებსა, ანალოგიური ზარალის გამოცდილებასა და პრეცედენტული პრაქტიკაზე დაყრდნობით, საანგარიშგებო თარიღით და საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

ჯგუფმა გამოიყენა ყველა შესაძლო და მის ხელთ არსებული ინფორმაცია პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვების, მათ შორის ზარალების დაკორექტირების ხარჯების შესაფასებლად, სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული კლასის მიხედვით. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი შეფასდა ზარალის გაცხადებისა და ზარალის ანაზღაურების დაგვიანების ისტორიული სტატისტიკის საფუძველზე, ჯაჭვისებური კიბის და სტოქასტიური მეთოდებით. გარდა ამისა, უფრო მსხვილი გაცხადებული ზარალი ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე ფასდება ზარალის მაკორექტირებელი ფაქტორებით. ზარალის პროგნოზირების დაშვებები, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავს წარმოადგინოს ყველაზე დიდი ალბათობის მქონე ან მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალური შესაძლო სიზუსტით შეფასება.

ძირითადი დაშვება, რომელსაც ეყრდნობა შეფასებები არის ის, რომ კომპანიის წარსულში მიღებული და სამომავლო ზარალის დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო ზარალის ტენდენციებისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდი ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის ტენდენციების ექსტრაპოლაციას, წინა წლების ტენდენციებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაყრდნობით. წარსული ზარალის ტენდენციების გაანალიზება ხდება ზარალის დადგომის წლებისა და ასევე საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. ტექნიკური რეზერვები მოზიდული დაზღვევის შემთხვევაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სავალუტო კურსის მერყეობაზე, რადგანაც ამ ხელშეკრულებების სადაზღვევო ვალდებულებები აშშ დოლარშია გამოხატული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

მგრძნობელობა

ზოგადი სადაზღვევო ზარალების რეზერვი მგრძნობიარეა ზემოაღნიშნული ძირითადი დაშვებების მიმართ. იმ დაყოვნების გამო, რასაც ადგილი აქვს ზარალის დადგომასა და მის შემდგომ შეტყობინებასა და საბოლოო ანაზღაურებას შორის, აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი საანგარიშგებო თარიღისთვის ზუსტად არ არის ცნობილი. ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ზარალის სიხშირისა და მოცულობის ცვლილებების შედეგად - მოთხოვნების რაოდენობა და მოთხოვნის საშუალო თანხა ის ძირითადი მონაცემებია, რომლებიც გამოიყენება ავტოტრანსპორტის რისკების დაზღვევისას მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის შესაფასებლად. ავტოტრანსპორტის დაზღვევის რეზერვი საკმაოდ მგრძნობიარეა ლარის გაუფასურებისა და სავალუტო რისკის მიმართ, რადგან ავტომანქანის შეკეთების დანახარჯების დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტებზეა მიბმული.

ჯგუფის საქმიანობა მოიცავს როგორც სიცოცხლის ისე ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებს.

(1) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები

ჯგუფი ძირითადად მოიზიდავს სიცოცხლის დაზღვევის პრემიებს, რომელთა მიხედვითაც პოლისის მფლობელის სიცოცხლე დაზღვეულია გარდაცვალებისგან ან მუდმივი შრომისუუნაროობისგან, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრული პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ რისკები კარგად იყოს დივერსიფიცირებული რისკების ტიპებისა და სადაზღვევო ანაზღაურების დონეების მიხედვით. ეს ძირითადად მიიღწევა საქმიანობის სფეროებზე და გეოგრაფიულ არეალებზე დივერსიფიკაციით, სამედიცინო შემოწმების ჩატარებით, რათა დადგინდეს, რომ ფასდადება ითვალისწინებს ჯანმრთელობის ამჟამინდელ მდგომარეობას და ოჯახის სამედიცინო ისტორიას, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის და პროდუქტების ფასდადების პრაქტიკის სისტემატური გადამოწმებითა და ზარალის რეგულირების დეტალურად გაწერილი პროცედურებით. მოქმედებს ანდერაიტინგის ლიმიტები სათანადო რისკის შერჩევის კრიტერიუმების პრაქტიკაში დასანერგად. მაგალითად, ჯგუფს უფლება აქვს, უარი თქვას ინდივიდუალური პოლისების განახლებაზე, მოითხოვოს სადაზღვევო ფრანჩიზა და ცრუ მოთხოვნების შემთხვევაში არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. გარდა ამისა, სადაზღვევო ხელშეკრულებები ჯგუფს უფლებას ანიჭებს, მიმართოს მესამე მხარეებს დანახარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ გადახდის მოთხოვნით. ამასთან, ჯგუფი ხშირად ატარებს მოთხოვნების აქტიურად მართვისა და დაუყოვნებლივ წამოყენების პოლიტიკას, რათა შეამციროს გაუთვალისწინებელი სამომავლო მოვლენების უარყოფითი გავლენა ჯგუფზე.

ამჟამად სადაზღვევო რისკები დიდად არ არის დამოკიდებული ჯგუფის მიერ დაზღვეული რისკების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე, თუმცა თანხების მიხედვით რისკების არასასურველმა კონცენტრაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პორტფელების მიხედვით ანაზღაურების გადახდის მასშტაბზე. ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, სადაც გარდაცვალება ან შრომისუუნაროობაა დაზღვეული რისკი, მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს სადაზღვევო მოთხოვნების სიხშირე არის ეპიდემიები, ცხოვრების წესის შეცვლა და სტიქიური უბედურებები, რაც გამოიწვევს მოსალოდნელზე ნაადრევ ან უფრო მეტ სადაზღვევო მოთხოვნას. ჯგუფის მასშტაბით მოქმედებს 5,000 ლარის გადაზღვევის ლიმიტი ყველა მაღალი რისკის მატარებელი პირისთვის.

პირდაპირი დაზღვევა ხდება საქართველოში, ხოლო ყველა გადამზღვეველი კომპანია მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ. მთლიანი და წმინდა ტექნიკური რეზერვები 2017 წლის 31 დეკემბრისთვის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე იყო 1,711 ლარი და 1,235 ლარი, შესაბამისად (2016 წ.: 1,384 ლარი და 1,218 ლარი).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

(2) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები

ჯგუფს ძირითადად შემდეგი ტიპის ზოგადი დაზღვევის პროდუქტები აქვს: ავტომობილის დაზღვევა, ქონების, ფინანსური დანაკარგების, პასუხისმგებლობის, ტვირთის, ტვირთების გადამზიდი კომპანიებისადმი ვალდებულებების, მესამე მხარეების მიმართ ზოგადი ვალდებულებების, მესამე მხარეების წინაშე ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის, პროფესიული პასუხისმგებლობის, საზღვაო ხომალდის, საჰაერო ხომალდის, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა. არასიცოცხლის დაზღვევის პოლიტიკით გათვალისწინებული რისკები ჩვეულებრივ თორმეტთვიან პერიოდს ფარავს.

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა კლიმატური ცვლილებებისა და სტიქიური უბედურებების შედეგად.

ეს რისკები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჯგუფის მიერ დაზღვეული რისკების ადგილმდებარეობაზე, ტიპზე და საქმიანობის სფეროზე. თანხების მიხედვით რისკების არასასურველმა კონცენტრაციამ შეიძლება დამატებით იმოქმედოს პორტფელების მიხედვით სადაზღვევო ანაზღაურების მასშტაბზე.

ზემოაღნიშნული რისკის გავლენა მცირდება მათი დივერსიფიცირებით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე. რისკების მერყეობა იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და განხორციელებით, რომელთა მიზანიცაა იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები დივერსიფიცირებული იყოს ტიპებისა და სადაზღვევო ანაზღაურების დონეების მიხედვით. ეს ძირითადად მიიღწევა ეკონომიკური საქმიანობის სფეროებზე რისკის დივერსიფიკაციით. გარდა ამისა, ჯგუფის რისკის შესამცირებლად არსებობს მთელი რიგი პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის სადაზღვევო მოთხოვნების შემოწმების მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე მოთხოვნის შესაფასებლად, ზარალის რეგულირების პროცედურის სისტემატური და დეტალური შემოწმება და შესაძლო ცრუ მოთხოვნების შემთხვევების ხშირი კვლევა. ამასთან, ჯგუფი ხშირად ატარებს მოთხოვნების აქტიურად მართვისა და დაუყოვნებლივ წამოყენების პოლიტიკას, რათა შეამციროს გაუთვალისწინებელი სამომავლო მოვლენების უარყოფითი გავლენა ჯგუფზე.

გარდა ამისა, რისკებისგან თავის დასაცავად ჯგუფი გარკვეულ ხელშეკრულებებზე ანაზღაურების მაქსიმალურ ოდენობას განსაზღვრავს და ბუნებრივი კატასტროფების, მაგალითად ქარიშხლის, მიწისძვრის და წყალდიდობის შედეგად მოყენებული ზარალის რისკის შემცირების მიზნით გადაზღვევას მიმართავს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ზოგადი დაზღვევის ტექნიკური რეზერვების კონცენტრაცია ხელშეკრულებების ტიპების მიხედვით.

	2017			*2016*		
	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ბრუტო	*გადამზღვევლის წილი ზარალის ანაზღაურების ვალდებულებაში*	*ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, წმინდა*	*ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ბრუტო*	*გადამზღვევლის წილი ზარალის ანაზღაურების ვალდებულებაში*	*ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, წმინდა*
ავტოტრანსპორტი	17,944	(1,328)	**16,616**	15,396	(47)	**15,349**
ქონება	22,707	(16,088)	**6,619**	12,759	(6,172)	**6,587**
ვალდებულება	4,914	(2,365)	**2,549**	8,398	(6,119)	**2,279**
გარანტიები	2,053	(338)	**1,715**	2,715	(581)	**2,134**
ტვირთი	872	(68)	**804**	836	(76)	**760**
ჯანდაცვა	71	(8)	**63**	54	–	**54**
	48,561	**(20,195)**	**28,366**	**40,158**	**(12,995)**	**27,163**

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ავტოტრანსპორტის რისკების დაზღვევისას ზარალის სიხშირისა და მოცულობის ცვლილებების შედეგად. ეს რისკები მერყეობს ჯგუფის მიერ დაზღვეული რისკის ადგილმდებარეობისა და ტიპების მიხედვით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

რისკების ცვალებადობა იმართება დანაკარგების რისკის დივერსიფიცირებით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე ან გეოგრაფიული არეალების მიხედვით, რადგანაც უფრო დივერსიფიცირებულ პორტფელზე ნაკლებად მოახდენს გავლენას პორტფელის რომელიმე ნაწილში მომხდარი ცვლილება.

რისკების ცვალებადობა ასევე იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიისა ფრთხილი შერჩევითა და განხორციელებით. ჯგუფი ადგენს ანდერაიტინგის წესებსა და ლიმიტებს, რომლებითაც განისაზღვრება, ვის შეუძლია რისკის მიღება, მათი ხასიათი და დასაშვები ლიმიტები. ამ ლიმიტების მონიტორინგი მუდმივად წარმოებს. გარდა ამისა, მოქმედებს სადაზღვევო მოთხოვნების შემოწმების მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე მოთხოვნის შესაფასებლად და შესაძლო ცრუ მოთხოვნების შემთხვევების კვლევა. ამასთან, ჯგუფი ხშირად ატარებს მოთხოვნების აქტიურად მართვისა და დაუყოვნებლივ წამოყენების პოლიტიკას, რათა შეამციროს გაუთვალისწინებელი სამომავლო მოვლენების უარყოფითი გავლენა ჯგუფზე.

გადაცემული საქმიანობისთვის განსხვავებული პირობებია გათვალისწინებული (გადაზღვევის კვოტა, ზარალის ექსცედენტი), რომელთა მიხედვითაც საქმიანობის შენარჩუნების ლიმიტები განსხვავდება პროდუქტების ხაზებისა და ტერიტორიის მიხედვით. გადამზღვევლებისგან ამოღებადი თანხების შეფასება ხდება იმავე დაშვებებით, რომლებიც გამოიყენება შესაბამისი პოლისის სარგებლის განსაზღვრისთვის და წარმოდგენილია ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

პირდაპირი დაზღვევა ხდება საქართველოში, ხოლო ყველა გადამზღვეველი კომპანია მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფინანსური რისკი

(1) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პროცესით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაჰენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაჰენტები ერთდროულად მოვალეებიც არიან და კრედიტორებიც; უზრუნველყოფისა და თავდებობის მიღების წესები, საკრედიტო რისკებისა და დარღვევების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შეტყობინება, საკრედიტო რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლი და მისი რეგულარული გადამოწმება აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად. ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი, როგორ მართავს კომპანია თავის საკრედიტო რისკს.

გადაზღვევა

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს გადაზღვევის პრაქტიკა, იგი არ თავისუფლდება პოლისების მფლობელების მიმართ ნაკისრი პირდაპირი მოვალეობებისგან და ამრიგად საკრედიტო რისკი არსებობს გადაცემული საქმიანობის შემთხვევაშიც, თუკი რომელიმე გადამზღვეველი ვერ შეასრულებს მის ვალდებულებებს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებების ფარგლებში. ჯგუფი არ არის დამოკიდებული რომელიმე გადამზღვეველზე და ჯგუფის საქმიანობა არ არის არსებითად დამოკიდებული რომელიმე გადაზღვევის ხელშეკრულებაზე. ანგარიშგების თარიღისთვის ყველაზე მაღალი კონტრაჰენტის რისკი ტექნიკური რეზერვების მთლიანი გადაცემული წილის 15%-ს შეადგენს (2016 წ.: 21%). კომპანია აფასებს თავისი გადამზღვევლების ფინანსურ მდგომარეობას და აკონტროლებს საკრედიტო რისკების კონცენტრაციას მსგავს გეოგრაფიულ რეგიონებზე, საქმიანობაზე, ან მზღვეველთა ეკონომიკურ მახასიათებლებზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გადამზღვევლების მხრიდან მოვალეობების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო ზარალი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

(1) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ჯგუფი ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს მართავს საკრედიტო რეიტინგების შიდა სისტემით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აქტივების სხვადასხვა ტიპების საკრედიტო ხარისხი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საკრედიტო მუხლებისთვის.

	შენიშვნა	*არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*ვადაგადაცილებული, მაგრამ არა ინდივიდუალურად გაუფასურებული, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*სულ 2017 წ.*
საბანკო ანაბრები	6	25,968	–	**25,968**
გაცემული სესხები		100	–	**100**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	7	4,180	–	**4,180**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	8	26,976	1,450	**28,426**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	18	20,671	–	**20,671**
საპენსიო ფონდის აქტივები	14	18,536	–	**18,536**
სულ		**96,431**	**1,450**	**97,881**

	შენიშვნა	*არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*ვადაგადაცილებული, მაგრამ არა ინდივიდუალურად გაუფასურებული, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*სულ 2016 წ.*
საბანკო ანაბრები	6	24,928	–	**24,928**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	7	3,389	–	**3,389**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	8	21,444	1,564	**23,008**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	18	13,161	–	**13,161**
საპენსიო ფონდის აქტივები	14	16,441	–	**16,441**
სულ		**79,363**	**1,564**	**80,927**

ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რეიტინგის შიდა სისტემა, რომ შეაფასოს ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი. იმ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის საკრედიტო რისკის მოცულობის შესახებ, გარე რეიტინგის მიხედვით არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

(1) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2017 წ.	*შენიშვნა*	*BB-*	*BB*	*B+*	*B*	*შეფასების გარეშე*	*სულ არც ვადაგადა-ცილებული და არც გაუფასუ-რებული*
საბანკო ანაბრები	6	2,418	–	–	19,155	4,395	**25,968**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	7	3,830	–	–	200	150	**4,180**
საპენსიო ფონდის აქტივები	14	1,732	–	–	11,768	5,036	**18,536**
სულ		**7,980**	**–**	**–**	**31,123**	**9,581**	**48,684**

31 დეკემბერი, 2016 წ.	*შენიშვნა*	*BB-*	*B+*	*B*	*შეფასების გარეშე*	*სულ არც ვადაგადა-ცილებული და არც გაუფასუ-რებული*
საბანკო ანაბრები	6	15,694	1,589	398	7,247	**24,928**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	7	631	–	–	2,758	**3,389**
საპენსიო ფონდის აქტივები	14	8,954	1,404	–	6,083	**16,441**
სულ		**25,279**	**2,993**	**398**	**16,088**	**44,758**

ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რეიტინგის სისტემა, რომ შეაფასოს დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების, ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილის და გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი.

(2) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუჭირდება სახსრების მოზიდვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით სწრაფად გაყიდვის უუნარობამ, კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობამ, სადაზღვევო ვალდებულების მოსალოდნელზე ადრე გადახდის აუცილებლობამ ან დაგეგმილი ფულადი ნაკადების მიღების უუნარობამ.

ჯგუფის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკი არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე წამოყენებული მოთხოვნებისა და სავალო ფასიანი ქაღალდებზე გადახდის ვადის დადგომის გამო.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

(2) ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი ლიკვიდურობას მართავს ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განმარტავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფისთვის ლიკვიდურობის რისკს, განსაზღვრავს სახსრების მინიმალურ პროპორციას სასწრაფო საჭიროებისთვის; სარეზერვო ფონდის შექმნის გეგმას, დაფინანსების წყაროებს და მოვლენებს, რომლებიც მოქმედებაში მოიყვანდა გეგმას, დაფინანსების წყაროების კონცენტრაციას, მაკონტროლებელი ორგანოსთვის ლიკვიდურობის რისკის არსებობისა და დარღვევის შემთხვევების შეტყობინებას, ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლსა და მის რეგულარულ გადამოწმებას აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

31 დეკემბერი, 2017 წ.	*ერთი წლის ვადაში*	*ერთ წელზე მეტ ვადაში*	*სულ*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,186	–	**4,186**
საბანკო ანაბრები	25,968	–	**25,968**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	151	4,029	**4,180**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	28,426	–	**28,426**
გაცემული სესხები	100	–	**100**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი (გარდა გადამზღვევლების წილისა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში)	12,509	1,431	**13,940**
საპენსიო ფონდის აქტივები	17,918	618	**18,536**
სხვა აქტივები	2,982	191	**3,173**
სულ აქტივები	**92,240**	**6,269**	**98,509**
ვალდებულებები			
მთლიანი ტექნიკური რეზერვები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	16,920	1,431	**18,351**
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	130	–	**130**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	11,702	393	**12,095**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	18,536	–	**18,536**
სხვა ვალდებულებები	5,152	–	**5,152**
სულ ვალდებულებები	**52,440**	**1,824**	**54,264**
ნეტო პოზიცია	**39,800**	**4,445**	**44,245**
აკუმულირებული გეპი	**39,800**	**44,245**	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2016 წ.	*ერთი წლის ვადაში*	*ერთ წელზე მეტ ვადაში*	*სულ*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,349	–	**4,349**
საბანკო ანაბრები	24,928	–	**24,928**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	2,584	805	**3,389**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	22,966	42	**23,008**
გაცემული სესხები	–	–	**–**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი (გარდა გადამზღვევლების წილისა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში)	6,217	1,271	**7,488**
საპენსიო ფონდის აქტივები	15,514	927	**16,441**
სხვა აქტივები	2,364	403	**2,767**
სულ აქტივები	**78,922**	**3,448**	**82,370**
ვალდებულებები			
მთლიანი ტექნიკური რეზერვები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	10,415	1,758	**12,173**
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	1,144	–	**1,144**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	9,157	440	**9,597**
ნასესხები სახსრები	–	–	**–**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	16,441	–	**16,441**
სხვა ვალდებულებები	6,691	–	**6,691**
სულ ვალდებულებები	**43,848**	**2,198**	**46,046**
ნეტო პოზიცია	**35,074**	**1,250**	**36,324**
აკუმულირებული გეპი	**35,074**	**36,324**	

სადაზღვევო ვალდებულებების ოდენობა და ვადა განისაზღვრება სტატისტიკურ მეთოდებსა და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებისა და განსჯის შედეგად.

ხელმძღვანელობის აზრით ჯგუფს საკმარისი ლიკვიდურობა აქვს არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
წარმოებული ფინანსური ვალდებულება	–	130	–	–	**130**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	–	18,536	–	–	**18,536**
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**–**	**18,666**	**–**	**–**	**18,666**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
წარმოებული ფინანსური ვალდებულება	–	1,144	–	–	**1,144**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	–	16,441	–	–	**16,441**
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**–**	**17,585**	**–**	**–**	**17,585**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსის მერყეობის შედეგად.

ჯგუფი დასაშვები საბაზრო რისკის დონეებს ანაწილებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივების დაცვით სადაზღვევო რეზერვების უზრუნველსაყოფად ნებადართული აქტივებისა და ამ აქტივების სტრუქტურის შესახებ. ეს დირექტივა განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საბაზრო რისკს, აქტივების გამოყოფასა და პორტფელის ლიმიტების სტრუქტურას, დივერსიფიკაციის სტანდარტებს ინსტრუმენტების ტიპებისა და გეოგრაფიულ არეალის მიხედვით, ასევე ადგენს რისკის ნეტო ლიმიტებს თითოეული კონტრაჰენტის ან კონტრაჰენტების ჯგუფის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მოქმედებს სავალუტო კურსების მერყეობა. კომპანიის გარიგებები ძირითადად ლარში ხორციელდება. სავალუტო რისკი წარმოდგება აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში, რადგანაც აშშ დოლარში გამოხატული სადაზღვევო ოპერაციები კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებები, რაც ამცირებს სავალუტო რისკს საერთაშორისო ოპერაციების შემთხვევაში. ამრიგად, სავალუტო რისკი ძირითადად ახასიათებს მომავალში დასაფარი სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებებისგან განსხვავებულ ვალუტებში გამოხატულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებში გამოხატულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე კომპანიას 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის რეალურად მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ცხრილში უარყოფითი რიცხვები ასახავს პოტენციურ ნეტო შემცირებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი რიცხვები - პოტენციურ ნეტო ზრდას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	ლარი	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*სულ*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,146	954	86	**4,186**
საბანკო ანაბრები	25,431	537	–	**25,968**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	3,378	802	–	**4,180**
გაცემული სესხები	100	–	–	**100**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	7,906	20,145	375	**28,426**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	6,731	13,940	–	**20,671**
საპენსიო ფონდის აქტივები	17,313	1,143	80	**18,536**
სულ აქტივები	**64,005**	**37,521**	**541**	**102,067**
ვალდებულებები				
მთლიანი ტექნიკური რეზერვები	33,579	16,646	47	**50,272**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	2,285	9,365	445	**12,095**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	17,856	600	80	**18,536**
სხვა ვალდებულებები	5,056	96	–	**5,152**
სულ ვალდებულებები	**58,776**	**26,707**	**572**	**86,055**
ნეტო პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებამდე	**5,229**	**10,814**	**(31)**	**16,012**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	5,237	(5,367)	–	**(130)**
ნეტო პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებით	**10,466**	**5,447**	**(31)**	**15,882**
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		**8.9%**	**12.0%**	
გავლენა მოგებაზე		**485**	**(4)**	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		**-8.9%**	**-12.0%**	
გავლენა მოგებაზე		**(485)**	**4**	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	ლარი	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*სულ*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,128	213	8	**4,349**
საბანკო ანაბრები	24,928	–	–	**24,928**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	963	2,426	–	**3,389**
გაცემული სესხები	–	–	–	**–**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	4,778	18,015	215	**23,008**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	5,935	7,226	–	**13,161**
საპენსიო ფონდის აქტივები	15,347	1,064	30	**16,441**
სულ აქტივები	**56,079**	**28,944**	**253**	**85,276**
ვალდებულებები				
მთლიანი ტექნიკური რეზერვები	31,798	9,726	18	**41,542**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	962	8,386	249	**9,597**
ნასესხები სახსრები	–	–	–	**–**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	16,404	34	3	**16,441**
სხვა ვალდებულებები	6,459	232	–	**6,691**
სულ ვალდებულებები	**55,623**	**18,378**	**270**	**74,271**
ნეტო პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებამდე	**456**	**10,566**	**(17)**	**11,005**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	5,595	(6,739)	–	**(1,144)**
ნეტო პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებით	**6,051**	**3,827**	**(17)**	**9,861**
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		**14.0%**	**17.5%**	
გავლენა მოგებაზე		**536**	**(3)**	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		**-14.0%**	**-17.5%**	
გავლენა მოგებაზე		**(536)**	**3**	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

31. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით.

	დონე 1	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ 2017 წ.*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
საინვესტიციო ქონება	–	–	845	**845**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	–	4,180	–	**4,180**
საპენსიო ფონდის აქტივები				
- გასაყიდად გამიზნული აქტივები	–	1,508	–	**1,508**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,186	–	–	**4,186**
საბანკო ანაბრები	–	25,968	–	**25,968**
გაცემული სესხები	–	–	100	**100**
საპენსიო ფონდის აქტივები				
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,952	–	–	**1,952**
- საბანკო ანაბრები	–	15,076	–	**15,076**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	–	130	–	**130**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	–	18,536	–	**18,536**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

31. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	დონე 1	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ 2016 წ.*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
საინვესტიციო ქონება	–	–	845	**845**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	–	3,389	–	**3,389**
საპენსიო ფონდის აქტივები				
- გასაყიდად გამიზნული აქტივები	–	1,735	–	**1,735**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,349	–	–	**4,349**
საბანკო ანაბრები	–	24,928	–	**24,928**
საპენსიო ფონდის აქტივები				
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,202	–	–	**2,202**
- საბანკო ანაბრები	–	12,504	–	**12,504**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	–	1,144	–	**1,144**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	–	16,441	–	**16,441**

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: ჯგუფმა გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, ჯგუფის აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

წარმოებული ფინანსური ვალდებულებები შედგება სავალუტო ფორვარდული კონტრაქტებისგან, რომლებიც გამოიყენება ჯგუფის სავალუტო კურსის მერყეობით გამოწვეული რისკის სამართავად. წარმოებული ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება სავალუტო კურსები, რომლებიც პირდაპირ მოიძებნება აქტიურ ბაზარზე.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები, რომელთა შეფასება ხდება შეფასების სისტემით ან ფასდადების მოდელით, შედგება არაკოტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებისაგან. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები შეფასებულია ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ეყრდნობა ბაზარზე დაკვირვებად მონაცემებს - ინსტრუმენტის ვადიანობის შესაბამისი საბაზრო განაკვეთები, ვალუტა და ემიტენტის საკრედიტო რისკი.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება მიიღება გარკვეული არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე, როგორიცაა ერთი კვადრატული მეტრის ფასი.

შეფასებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა

მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები, რომლებიც გამოიყენება სამართლებრივ ღირებულებათა იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რაოდენობრივ მგრძნობელობის ანალიზთან ერთად, 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

31. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მე-3 დონის ძირითადი საშუალებები

	2017 წ. და 2016 წ.	*შეფასების მეთოდი*	*მნიშვნე-ლოვანი არასაბაზრო მონაცემები*	*1 კვ.მ.-ის ფასი ლარში*	*ფართობი, კვ.მ.-ობით*	*ინფორმაციის მგრძნობელობა სამართლიანი ღირებულების მიმართ*
საინვესტიციო ქონება	845	საბაზრო მიდგომა	კვ. მ.-ის ფასი	2,296-2,585	346	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა მათი სამართლიანი ღირებულებებისგან.

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

32. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“* მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

32. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	2017	*2016*
	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები**	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები**
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,549	3,030
საბანკო ანაბრები	16,095	13,602
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	3,995	2,939
საპენსიო ფონდის აქტივები	12,571	8,858
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	3,551	78
სხვა აქტივები	145	122
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	3,829	2,792
	42,735	**31,421**
ვალდებულებები		
მთლიანი ტექნიკური რეზერვები	4,170	597
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	130	1,144
სხვა ვალდებულებები	113	1,291
	4,413	**3,032**

	2017		*2016*	
	მშობელი კომპანია	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	*მშობელი კომპანია*	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*
შემოსავალი და ხარჯები				
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	249	10,955	128	7,476
წმინდა სადაზღვევო ზარალი და მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები	–	(3,686)	–	(2,027)
პრემიების მოზიდვის ხარჯი, გადაზღვევის გამოკლებით	–	(739)	–	(402)
საინვესტიციო მოგება	–	1,710	120	1,729
საპენსიო ფონდის მონაწილეებისთვის მიკუთვნებადი საინვესტიციო შემოსავალი	–	944	–	741
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	–	(676)	–	(559)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	–	(82)	–	(73)
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი	–	62	–	75
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი)	–	580	–	(1,144)
	249	**9,068**	**248**	**5,816**

* საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფის“ შვილობილი კომპანიები.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

32. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება (2017 წ.: 11 პირი; 2016 წ.: 10 პირი) მოიცავდა შემდეგს:

	2017	*2016*
ხელფასები და პრემიები	2,820	2,731
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ანაზღაურება	533	211
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	**3,353**	**2,942**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კონსოლიდაციის გეგმა

	2017			
	მშობელი კომპანია	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური ნაშთები და კონსოლიდირების კორექტირებები*	*სულ*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,918	268	–	**4,186**
საბანკო ანაბრები	20,662	5,306	–	**25,968**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	4,180	–	–	**4,180**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	28,644	69	(287)	**28,426**
გაცემული სესხები	–	1,570	(1,470)	**100**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	20,671	–	–	**20,671**
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	652	226	–	**878**
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	2,916	–	–	**2,916**
საინვესტიციო ქონება	845	–	–	**845**
ძირითადი საშუალებები	5,503	5,124	–	**10,627**
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	14,334	1	–	**14,335**
საპენსიო ფონდის აქტივები	18,536	–	–	**18,536**
სხვა აქტივები	2,274	909	(10)	**3,173**
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	14,530	–	(14,530)	**–**
სულ აქტივები	**137,665**	**13,473**	**(16,297)**	**134,841**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	1,889	14,495	(14,495)	**1,889**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	6,744	–	243	**6,987**
სხვა რეზერვები	–	45	(45)	**–**
გაუნაწილებელი მოგება	41,475	(1,492)	(233)	**39,750**
სულ კაპიტალი	**50,108**	**13,048**	**(14,530)**	**48,626**
ვალდებულებები				**–**
მთლიანი ტექნიკური რეზერვები	50,146	126	–	**50,272**
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	130	–	–	**130**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	12,095	–	–	**12,095**
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	16	14	–	**30**
ნასესხები სახსრები	1,470	–	(1,470)	**–**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	18,536	–	–	**18,536**
სხვა ვალდებულებები	5,164	285	(297)	**5,152**
სულ ვალდებულებები	**87,557**	**425**	**(1,767)**	**86,215**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**137,665**	**13,473**	**(16,297)**	**134,841**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კონსოლიდაციის გეგმა (გაგრძელება)

	2016 (გადაანგარიშებული)				*2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)*			
	მშობელი კომპანია	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური ნაშთები და კონსოლი-დირების კორექტირებები*	*სულ*	*მშობელი კომპანია*	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური ნაშთები და კონსოლი-დირების კორექტირებები*	*სულ*
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,036	313	–	**4,349**	2,122	613	–	**2,735**
საბანკო ანაბრები	20,986	3,942	–	**24,928**	14,893	3,090	–	**17,983**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	3,224	165	–	**3,389**	2,583	–	–	**2,583**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	23,162	130	(284)	**23,008**	17,862	303	(287)	**17,878**
გაცემული სესხები	39	2,430	(2,469)	**–**	4,517	2,294	(1,576)	**5,235**
ტექნიკური რეზერვების გადაცემული წილი	13,161	–	–	**13,161**	13,826	12	(12)	**13,826**
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	–	273	–	**273**	36	263	–	**299**
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	854	226	–	**1,080**	729	779	–	**1,508**
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	2,673	–	–	**2,673**	1,915	–	–	**1,915**
საინვესტიციო ქონება	845	–	–	**845**	–	–	–	**–**
ძირითადი საშუალებები	3,533	5,185	–	**8,718**	2,989	5,138	–	**8,127**
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	14,471	1	–	**14,472**	14,247	1	–	**14,248**
საპენსიო ფონდის აქტივები	16,441	–	–	**16,441**	13,706	–	–	**13,706**
სხვა აქტივები	1,932	945	(110)	**2,767**	1,913	1,050	–	**2,963**
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	14,520	–	(14,520)	**–**	14,520	–	(14,520)	**–**
სულ აქტივები	**119,877**	**13,610**	**(17,383)**	**116,104**	**105,858**	**13,543**	**(16,395)**	**103,006**
კაპიტალი								
საწესდებო კაპიტალი	1,889	14,485	(14,485)	**1,889**	1,889	14,485	(14,485)	**1,889**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	6,744	–	243	**6,987**	6,744	–	243	**6,987**
სხვა რეზერვები	–	45	(45)	**–**	–	45	(45)	**–**
გაუნაწილებელი მოგება	33,088	(2,405)	(233)	**30,450**	26,754	(2,713)	(233)	**23,808**
სულ კაპიტალი	**41,721**	**12,125**	**(14,520)**	**39,326**	**35,387**	**11,817**	**(14,520)**	**32,684**
ვალდებულებები								
მთლიანი ტექნიკური რეზერვები	41,264	278	–	**41,542**	37,438	546	(20)	**37,964**
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	1,144	–	–	**1,144**	–	–	–	**–**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	9,262	335	–	**9,597**	9,051	426	–	**9,477**
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	1,273	90	–	**1,363**	663	–	–	**663**
ნასესხები სახსრები	2,430	39	(2,469)	**–**	1,378	198	(1,576)	**–**
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	16,441	–	–	**16,441**	13,706	–	–	**13,706**
სხვა ვალდებულებები	6,342	743	(394)	**6,691**	8,235	556	(279)	**8,512**
სულ ვალდებულებები	**78,156**	**1,485**	**(2,863)**	**76,778**	**70,471**	**1,726**	**(1,875)**	**70,322**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**119,877**	**13,610**	**(17,383)**	**116,104**	**105,858**	**13,543**	**(16,395)**	**103,006**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის კონსოლიდაციის გეგმა

	2017				*2016 წ. (რეკლასიფიცირებული)*			
	მშობელი კომპანია	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური გარიგებები*	*სულ*	*მშობელი კომპანია*	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური გარიგებები*	*სულ*
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია	85,830	92	–	**85,922**	70,782	257	(8)	**71,031**
გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებულ სადაზღვევო პრემიაში	(23,488)	336	–	**(23,152)**	(20,640)	–	–	**(20,640)**
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	**62,342**	**428**	**–**	**62,770**	**50,142**	**257**	**(8)**	**50,391**
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯი	(41,633)	93	–	**(41,540)**	(26,575)	(15)	(12)	**(26,602)**
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებში	15,554	–	–	**15,554**	7,380	(12)	12	**7,380**
ზარალის დარეგულირების ხარჯები	(1,332)	–	–	**(1,332)**	(780)	–	–	**(780)**
შემოსავალი რეგრესიდან და ნარჩენი ღირებულებიდან	2,220	–	–	**2,220**	1,899	–	–	**1,899**
წმინდა სადაზღვევო ზარალი და მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები	**(25,191)**	**93**	**–**	**(25,098)**	**(18,076)**	**(27)**	**–**	**(18,103)**
პრემიების მოზიდვის ხარჯი, გადაზღვევის გამოკლებით	(9,099)	(1)	–	**(9,100)**	(6,284)	(9)	–	**(6,293)**
წმინდა მოგება ანდერაიტინგიდან	**28,052**	**520**	**–**	**28,572**	**25,782**	**221**	**(8)**	**25,995**
საინვესტიციო მოგება	2,447	681	(163)	**2,965**	2,637	694	(185)	**3,146**
საპენსიო ფონდის აქტივების მართვის გასამრჯელო	525	–	–	**525**	483	–	–	**483**
ინვესტიციის შედეგი	**2,972**	**681**	**(163)**	**3,490**	**3,120**	**694**	**(185)**	**3,629**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(8,552)	(149)	–	**(8,701)**	(8,275)	(152)	–	**(8,427)**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,297)	(207)	144	**(3,360)**	(3,062)	(184)	123	**(3,123)**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(734)	(121)	–	**(855)**	(651)	(123)	–	**(774)**
გაუფასურების ხარჯი	(728)	10	–	**(718)**	(1,155)	267	–	**(888)**
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი	325	458	(144)	**639**	529	549	(115)	**963**
სხვა ხარჯები	**(12,986)**	**(9)**	**–**	**(12,995)**	**(12,614)**	**357**	**8**	**(12,249)**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	**18,038**	**1,192**	**(163)**	**19,067**	**16,288**	**1,272**	**(185)**	**17,375**
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	302	(94)	–	**208**	(100)	(195)	–	**(295)**
საპროცენტო ხარჯი	(162)	(1)	163	**–**	(163)	(22)	185	**–**
დასაბეგრი მოგება	**18,178**	**1,097**	**–**	**19,275**	**16,025**	**1,055**	**–**	**17,080**
მოგების გადასახადის ხარჯი	(2,791)	(184)	–	**(2,975)**	(2,570)	(748)	–	**(3,318)**
წმინდა მოგება	**15,387**	**913**	**–**	**16,300**	**13,455**	**307**	**–**	**13,762**
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	**–**	–	–	–	**–**
მთლიანი სრული შემოსავალი	**15,387**	**913**	**–**	**16,300**	**13,455**	**307**	**–**	**13,762**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი ნაკადების ანგარიშგების კონსოლიდაციის გეგმა

	2017				2016			
	მშობელი კომპანია	შვილობილი კომპანიები	შიდაჯგუფური გარიგებები	სულ	მშობელი კომპანია	შვილობილი კომპანიები	შიდაჯგუფური გარიგებები	სულ
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან								
მიღებული სადაზღვევო პრემია	77,177	110	–	**77,287**	65,324	407	–	**65,731**
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(15,796)	–	–	**(15,796)**	(14,346)	–	–	**(14,346)**
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	(32,929)	(16)	(114)	**(33,059)**	(25,728)	(82)	–	**(25,810)**
მიღებული გადაზღვევის მოთხოვნები	8,233	–	–	**8,233**	5,999	–	–	**5,999**
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	(9,202)	(3)	–	**(9,205)**	(5,824)	(8)	–	**(5,832)**
გადახდილი ხელფასები და სარგებელი	(8,805)	(129)	–	**(8,934)**	(9,060)	(124)	–	**(9,184)**
მიღებული პროცენტი	1,807	310	(2)	**2,115**	1,243	96	(33)	**1,306**
გადახდილი პროცენტი	–	–	–	**–**	–	(40)	40	**–**
გადახდილი საოპერაციო გადასახადი	(84)	(65)	–	**(149)**	(237)	(30)	–	**(267)**
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	597	567	(127)	**1,037**	776	601	(116)	**1,261**
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,261)	(688)	241	**(4,708)**	(2,801)	(164)	115	**(2,850)**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე	**16,737**	**86**	**(2)**	**16,821**	**15,346**	**656**	**6**	**16,008**
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,838)	(46)	–	**(3,884)**	(2,027)	(102)	–	**(2,129)**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**12,899**	**40**	**(2)**	**12,937**	**13,319**	**554**	**6**	**13,879**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები								
ჯილობილი კომპანიის შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	(10)	–	10	**–**	–	–	–	**–**
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,391)	(67)	–	**(2,458)**	(892)	(149)	1	**(1,040)**
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	37	–	–	**37**	–	–	–	**–**
არამატერიალური აქტივების შეძენა	(656)	(20)	–	**(676)**	(455)	–	–	**(455)**
გაცემული სესხები	–	982	(1,082)	**(100)**	(7,170)	(1,891)	2,061	**(7,000)**
გაცემული სესხის დაფარვებიდან მიღებული შემოსავალი	38	–	(38)	**–**	1,368	1,927	(1,394)	**1,901**
ფორვარდული ხელშეკრულებების ფარგლებში ანგარიშსწორება	(1,535)	–	–	**(1,535)**	–	–	–	**–**
საბანკო ანაბრების განთავსება, წმინდა	950	(1,161)	–	**(211)**	(4,795)	(366)	–	**(5,161)**
გასაყიდად გამიზნული აქტივების შესყიდვა	(3,667)	173	–	**(3,494)**	(381)	(150)	–	**(531)**
გასაყიდად გამიზნული აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	2,586	–	–	**2,586**				
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**(4,648)**	**(93)**	**(1,110)**	**(5,851)**	**(12,325)**	**(629)**	**668**	**(12,286)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები								
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	–	10	(10)	**–**	–	–	–	**–**
გადახდილი დივიდენდი	(7,000)	–	–	**(7,000)**	–	–	–	**–**
აღებული სესხები	–	–	–	**–**	1,800	261	(2,061)	**–**
ნასესხები სახსრების დაფარვა	(1,122)	–	1,122	**–**	(910)	(477)	1,387	**–**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**(8,122)**	**10**	**1,112**	**(7,000)**	**890**	**(216)**	**(674)**	**–**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(247)	(2)	–	**(249)**	30	(9)	–	**21**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	**(118)**	**(45)**	**–**	**(163)**	**1,914**	**(300)**	**–**	**1,614**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარი	4,036	313	–	**4,349**	2,122	613	–	**2,735**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი	**3,918**	**268**	**–**	**4,186**	**4,036**	**313**	**–**	**4,349**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	2017			
	მშობელი კომპანია	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური ნაშთები*	*სულ*
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	56	–	–	**56**
მიმდინარე ანგარიშები	3,862	268	–	**4,130**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**3,918**	**268**	**–**	**4,186**

	2016			
	მშობელი კომპანია	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური ნაშთები*	*სულ*
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	30	–	–	**30**
მიმდინარე ანგარიშები	4,006	313	–	**4,319**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**4,036**	**313**	**–**	**4,349**

საბანკო ანაბრები

31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანაბრები მოიცავს შემდეგს:

	2017			
	მშობელი კომპანია	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური ნაშთები*	*სულ*
- სს „საქართველოს ბანკი“	12,879	3,216	–	**16,095**
- სს „თიბისი ბანკი“	3,157	1,285		**4,442**
- სს „ვითიბი ბანკი“	2,280	556	–	**2,836**
- სს „ფინკა ბანკი“	781	–	–	**781**
- სს „ტერა ბანკი“	778	–	–	**778**
- სს „ლიბერთი ბანკი“	507	249	–	**756**
- სს „ჰალიკ ბანკი“	280	–	–	**280**
სულ საბანკო ანაბრები	**20,662**	**5,306**	**–**	**25,968**

	2016			
	მშობელი კომპანია	*შვილობილი კომპანიები*	*შიდაჯგუფური ნაშთები*	*სულ*
- სს „საქართველოს ბანკი“	11,524	2,078	–	**13,602**
- სს „ბანკი რესპუბლიკა“	4,019	–	–	**4,019**
- სს „ტერა ბანკი“	2,069	748	–	**2,817**
- სს „თიბისი ბანკი“	1,343	494	–	**1,837**
- სს „ლიბერთი ბანკი“	1,365	224	–	**1,589**
- სს „ფინკა ბანკი“	410	–	–	**410**
- სს „ბაზისბანკი“	–	398	–	**398**
- სს „ჰალიკ ბანკი“	256	–	–	**256**
სულ საბანკო ანაბრები	**20,986**	**3,942**	**–**	**24,928**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2017 წელს ასეთი იყო:

მშობელი კომპანია	*მიწა და შენობა-ნაგებობები*	*ავეჯი და მოწყობილობები*	*კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა*	*ავტოსატრანსპორტო საშუალებები*	*საიჯარო გაუმჯობესებები*	*სულ*
თვითღირებულება 31 დეკემბერი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**2,247**	**813**	**1,149**	**426**	**541**	**5,176**
შემოსვლები	1,788	83	233	206	71	**2,381**
გასვლები	–	(21)	(69)	(148)	(18)	**(256)**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**4,035**	**875**	**1,313**	**484**	**594**	**7,301**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**202**	**459**	**805**	**155**	**22**	**1,643**
ცვეთის დანარიცხი	47	67	128	86	2	**330**
გასვლები	–	(15)	(42)	(118)	–	**(175)**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**249**	**511**	**891**	**123**	**24**	**1,798**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2016 წ.	**2,045**	**354**	**344**	**271**	**519**	**3,533**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**3,786**	**364**	**422**	**361**	**570**	**5,503**

შვილობილი კომპანიები	*მიწა და შენობა-ნაგებობები*	*ავეჯი და მოწყობილობები*	*კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა*	*ავტოსატრანსპორტო საშუალებები*	*საიჯარო გაუმჯობესებები*	*სულ*
თვითღირებულება 31 დეკემბერი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	5,384	88	133	–	2	**5,607**
შემოსვლები	46	8	9	–	–	**63**
გასვლები	–	(2)	(1)	–	–	**(3)**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**5,430**	**94**	**141**	**–**	**2**	**5,667**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**373**	**19**	**29**	**–**	**1**	**422**
ცვეთის დანარიცხი	98	9	14	–	–	**121**
გასვლები	–	–	–	–	–	**–**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**471**	**28**	**43**	**–**	**1**	**543**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2016 წ.	**5,011**	**69**	**104**	**–**	**1**	**5,185**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**4,959**	**66**	**98**	**–**	**1**	**5,124**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2016 წელს ასეთი იყო:

მშობელი კომპანია	მიწა და შენობა-ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო გაუმჯობესებები	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**2,371**	**641**	**997**	**286**	**163**	**4,458**
შემოსვლები	16	190	217	250	398	**1,071**
გასვლები	(140)	(18)	(65)	(110)	(20)	**(353)**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**2,247**	**813**	**1,149**	**426**	**541**	**5,176**
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	**216**	**405**	**698**	**142**	**8**	**1,469**
ცვეთის დანარიცხი	25	59	123	56	14	**277**
გასვლები	(39)	(5)	(16)	(43)	–	**(103)**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**202**	**459**	**805**	**155**	**22**	**1,643**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი, 2016 წ.	**2,155**	**236**	**299**	**144**	**155**	**2,989**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**2,045**	**354**	**344**	**271**	**519**	**3,533**

შვილობილი კომპანიები	მიწა და შენობა-ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო გაუმჯობესებები	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	5,220	86	130	–	2	**5,438**
შემოსვლები	167	2	8	–	–	**177**
გასვლები	(3)	–	(5)	–	–	**(8)**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**5,384**	**88**	**133**	**–**	**2**	**5,607**
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2016 წ. (გადაანგარიშებული)	275	10	15	–	–	**300**
ცვეთის დანარიცხი	98	9	15	–	1	**123**
გასვლები	–	–	(1)	–	–	**(1)**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**373**	**19**	**29**	**–**	**1**	**422**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი, 2016 წ.	**4,945**	**76**	**115**	**–**	**2**	**5,138**
31 დეკემბერი, 2016 წ.	**5,011**	**69**	**104**	**–**	**1**	**5,185**

გიორგი ბარათაშვილი — გენერალური დირექტორი

ლაშა ხახუტაიშვილი — ფინანსური დირექტორი

20 მარტი, 2018 წ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაი საქართველოს“ მიერ 2018 წლის 9 მარტს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.